# სახალხო გაზეთი

№ 1090 სამშაბათი, 14 იანვარი 1914 წ. № 1090

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოღდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლიერ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიური გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

(კვირაობით).

**პრემიად** 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

**პირველი წიგნი:** „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

**მეორე წიგნი:** „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი:** „სამეცნიერო კრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით**

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:** 1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.



ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

**სამკურნალო**

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მოურიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608



**ექიმი** ქალთა **ნინო რცხილაძე.**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.



1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქართვ. შორის წ.-კითხ. გამავრც. საზოგ. ქუთაის. განყოფილებამ

**გახსნა ახალი სტამბა**

საკუთარი — ქუთაისში —

სტამბა საუკეთესოდაა მოწყობილი და იღებს ყოველ-გვარ საქმეებს ქალაქისა და პროვინციებისას,— ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. ✦ ფასები ძლიერ ზომიერია. 1658



## ქართული თეატრი

ნინოობას, ამა იანვრის 14-ს

**ტფილ. ქართველ ქალთა საზოგადოება**

გამართავს

სალიტერატურო-სამუსიკო-სამხატვრო

**საღამოს**

I.

**ლექციები**—კ. აბაშიძისა, ივ. გომართელისა და შ. მესხიშვილისა.

II.

**საკონცერტო განყოფილება:** ხორო ფილარმონიულ საზოგადოებისა და სიმებიანი ორკესტრი ახალი კლუბისა.

III.

**ცოცხალი სურათები**—ქართველი ქალის წარსულის და ახალის ცხოვრებიდან, მ. კორელის და ვ. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით.

**დასასრულ ცეკვა.** ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8 ს. 1019



გორის პირველი კერძო

**სამკურნალო**

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ხანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ხ.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ზრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ზინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. წამლობა „606", „914". 1604



**ტფილისის კერძო სამკურნალო**

კიროჩნის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვერცხლის სახლობის ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ.: | **მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ვენერიულ. სნეულებ. და ფლტ. | **ჯავახიშვილი ნ ნ.** სამშ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, ხრდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვ. შეღავათიანი სასყიდლით. წ. 1436



## ახალი კლუბი

**სამშაბ., 14 იანვარს,** წმ. ნინოობა დღეს, „ახალ კლუბის" წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა ბავშვებისათვის გამართულ იქნება

**საბავშვო დილა**

შემდეგის პროგრამით: 1) სინემატოგრაფი ივანიცკისა, 2) საზღვარ-გარეთული ატრაქციონი: გასტროლი სცგანგებო გიმნასტი მეზღვაურებისა („Трio o морѣ") და 3) დაუკრავს „ახალ კლუბის" ორკესტრი.

შესასვლელი ფასი თეატრში 20 კ., სტუმართა ბავშვები დამატებით იხდიან კლუბში შესასვლელს 20 კ. ✦ დასაწყისი დილით 12 საათზე. 1007



**დღეიდან**

**ვაგზლის სამკურნალოში**

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 11—11½ ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი სნეულებ. 1—2 ს.

**მაშაკიძე**—შინაგანი სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

**წამლობა „914" აპარატით.**

1023



**ნაკადულზე**

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ „ნაკადულზე" წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი, მოზრდილთათვის **12** წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

უფასოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები",

(მრავალი სურათებით), გადმოკ. ა. თეღეშიძისა.

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

ტფილისში: „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა **ქუთაისში**—ისიდორე კვიციძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვლიშვილთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტრიფონ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო ...ძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, ...ში—ვასო აბველდიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—... ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—გ. აბაშიძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიას; ...ში—ივ. სათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **რაჭა-ლეჩხუმში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. გავაშელიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი გარჩევით დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631

რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.



**შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება**

არაყიშვილის ნოტები:

1) **ქართ. ეროვნული სიმღერები** ფორტეპიანოს აკომპანიმენტით: ახ, ...ვარევ, ბუნდოვანს გულსა, ჩემო ...ვო, შენდა შეყრამდის, ორთავ ...ლის, ოროველა, ნანა, ურმული, ... (მეგრული), არანანუ, ვაი ლო...ნთი, საარშიყო, მუ ფქიმინა, მზე ...რული), წიგნი, ქალო ლამაზო 1 მ.,

2) **ცეკვა** ფორტ. (დავლური) 50 კ.,

3) **მგოსნ. სიმღ. ქალთა ხორ.** 60 კ.

4) **ეროვნული სიმღერები** (კახური და ქართლური): კალოური, გურული, ურმული, ნანა, სათამაშო, ...ური, შაშვო ლამაზო ქიზიყური, ბერი კაცი ვარ, მაყრული, კახური გრძელი მრავალ-ჟამიერ, ზამთარიო, სუფრული, დიდება, იავ-ნანა, ზარით ტირილი, მკაში, ღიამბეგო, ქალს გიქებენ, შავლეგო, გლესამ და გლესამ, მგზავრული, ცანგალა გოგონა, ჩემო თავო, ჩაკრული . . 65 კ.

5) **ქართ. ერთხმოვ. ეროვნ. სიმღერები:** წერა-კითხვ. გამოც. 20 კ.

6) РОМАНСы: Не пой красавица, Я жду тебя, мнѣ снился сонъ, еще такъ многострунъ, თითო . . . 30 კ

Изъ гафиза № 1, . . . 40 კ.

„ „ № 4, . . . 45 კ.

7) Народн. пѣсня Западной Груз. 2 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.



**ბაქოს ქართველ ქალთა წრის მიერ**

ბაქოს ქართულ სკოლის შენობაში,

(ბირჟის ქ., საკუთარი სახლი),

ამა 1914 წლ. 1 იანვრიდან, მთავრობის ნებართვით, გაიხსნა

● **პროფესიონალური** ●

**ჭრა-კერვისა და ხელსაქმის სკოლა,**

სადაც მიიღებენ ქართველ ქალებს არა ნაკლებ თორმეტი წლისას. სწავლის ფასი წელიწადში 12 მან. თხოვნების მიღება და ყოველგვარი ცნობის გაგება შეიძლება იქვე: დილის 9 ს.-დან ნაშუადღ. ორ ს.-მდე და ბალახანაში—ნავთის მრეწველთა საავადმყოფოს **ექიმ ლორთქიფანიძის ბინაზე.** 18



საზღვარ-გარეთის კიმონო

**რ. ა. პორტუგალოვისა**

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო



ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული

ქართული წარმოდგენების მმართველი წრის

**გამგეობა**

უმორჩილესად სთხოვს ყველა

**იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე ქალებს და ვაჟებს,**

ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, **რეჟისორ ალ. წუწუნავასთან,** ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან.

1652



გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„მამცემი"**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 56.

ხუთშაბათს, 16 იანვარს 1914 წ. ქართული დრამ. საზოგად. დასის მიერ

**ალ. იმედაშვილის საბენეფისოდ**

ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **პირველად ქართულ** სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა **ა. შანშიაშვილი**

# „უშვილძირო მეფენი"

(გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან)

ისტორ. დრამა 5 მოქმედ. და 7 სურათად.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

**დასაწყ. საღამოს 8 საათ.** ✦ ადგილების ფასი საბენეფისოა.

რეჟისორი **მ. ქორელი.**

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება წარმოსადგენად: „დონ-კარლოსი", „ბედნიერი დღე", „ამოცანა" და სხვ.

1006 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობისა

14 იანვარს ქ. გორის საზამთრო

**საკრებულო დარბაზში**

გორის „მანდილოსანის" გამგეობა სდგამს

# „ღალატს"

ქ. დავითაშვილის და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა საზანდრით. ამ საღამოს დიასახლისად ბრძანდება „მანდილოსანის" **საპატიო თავმჯდომარე კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამილახორისა.** 1026

## ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების

# სამუსიკო სკოლა

(ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერა (solo) თეორიისა, ჰარმონიისა, ენციკლოპედიისა, სოლფეჯიოსი (ნოტების კითხვა) და ხოროს კლასსებში **დაიწყო 2 იანვრიდან,** დილის 11 ს.-დან 2 ს.-დე და საღამოს 5—7 საათამდე, (კვირა-უქმის გარდა) სკოლის კანტორაში.

სწავლის ფასი 65 და 75 მან. წელიწადში გადახდებათ, ნახევარი წლობით წინდაწინ, სპეციალური თეორია მუსიკისა 15 მან. წელიწადში.

**სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.** 1004

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

# სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

# მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა**

# გ. მეჭრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაზრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 6—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 საათ. **საწყალებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

# ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

**ე ქ ი მ ი**

# ი. ზ. ბძოლიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

# ექიმი

**ი. ი. ბერიშვილი**

სწავლობს სამარდე ორგანოთა, **ათაშანგისა** და კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ქ. გ ო რ შ ი**

**(დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).**

# ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

# ექიმი

**პავლე არდაზიანი**

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ელექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

# ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას"**

და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისათვის. გუნდის მიწვევა კონცერტებზე, ქელეხებში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც. პირობების გაგება, მოლაპარაკება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან,** კვირაობით 3—5 ს.-დე და ოთიშაბ. 6—8 ს.

**აბშალის ქ. № 29.**

ვიღებ და ვასწავლი **მუშა ხალხსაც.** 1027

# ექიმი

**შ. ა. მიქელაძე**

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი **№ 117. ტელეფონი 816!**


# ტფილისი, 14 იანვარი

**ქალების დღესასწაული.** დღეს ხიხოობაა, ქალების დღესასწაული. ნინოს სახელთან დაკავშირებულია ქალის უმშვენიერესი თვისებე—სულიერი სინაზე და მაღალი ზნეობრივი სათნოება. ქალი ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის სიკეთის, მადლის, სიქველის, სიწმინდის და სიყვარულის გამომსახველი იყო. ჩვენს გონებას ვერც წარმოუდგენია გარეშე ქალისა მაღალი მისწრაფება და როდესაც გვინდა გამოვხატოთ, ხორცი შევასხათ რაიმე საოცნებო საგანს, მას უთუოდ ქალის სახით შევმოსავთ.

მაგრამ უნდა აღვიაროთ ისიც გულახდილად, რომ ქალი ასეთის შარავანდედით შემკული, ნამდვილად მოკლებულია იმ უფლებას, რომელიც მას სავსებით ეკუთვნის; ქალის არსებობა არ არის ჩაყენებული ისეთს პირობებში, რომ სრულად გაშალოს მთელი თავისი ნიჭი და შემოქმედება. ქალი გვიყვარს, მაგრამ ეს სიყვარული არ არის აგებული მეგობრობაზე, ქალს არ ვსცნობთ მამაკაცის თანასწორად. ეს ჩვენი დროის ერთი უდიდეს საკითხთაგანია, რომლის გადაწყვეტა მრავალმხრივს აყვავებას უქადის კაცობრიობას.

ქალთა საკითხს, შეიძლება, მაღალის კულტურისა და დაწინაურებულის ერებისთვის არ ჰქონდეს ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ჩვენთვის აქვს დღეს. ჩვენ პატარა ერი ვართ, ჩამორჩენილი, მოკლებული ეროვნულს თვითმოქმედებას და დიდის სიხარულით უნდა აღვნიშნოთ ყოველი ნაბიჯი ქართველი ქალების საერო ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად, აღტაცებით უნდა მივეგებოთ მათ გამოღვიძებას, კულტურულს მუშაობას, ბრძოლას თავისუფლების მოსაპოვებლად. ეს მთელი ერის გამაგრებაა, ეს ახალი ძალების შეძენაა და მაშინ, როდესაც საქართველოში თითებზე ჩამოსათვლელი აღარ იქნებიან შეგნებული ქალები, აღჭურვილნი ევროპიული განათლებით და ეროვნულის მისწრაფებით, ჩვენი ერის არსებობა სამუდამოდ უზრუნველყოფილი შეიქნება.

ჩვენ ვერაფერს ვუსაყვედურებთ ჩვენს ქალებს: თუ დღემდის სუსტია მათი მონაწილეობა საერო ცხოვრებაში, ეს უმთავრესად მამაკაცებისავე ბრალია. დღეს უკვე ვხედავთ, რომ ჩვენი ქალები გამოფხიზლდნენ, შეიგნეს თავისი ღირსება და თუმცა ჯერ მკრთალად, გაუბედავად იწყებენ საზოგადო მოღვაწეობას, ერთდებიან და კავშირდებიან, რომ საერთო ძალით გზა გაიკაფონ თავის განთავისუფლებისა და ერის ცხოვრების აღდგენისა და განმტკიცებისაკენ.

სულით და გულით მივესალმებით ქალების ასეთს მუშაობას!

**ამ ნომერში ექვსი გვერდი.**

დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 იანვარს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **წმ. ნინოობა.** დღეს მართლმადიდებელთა ეკლესია უქმობს ქართველთა განმანათლებელის, მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს დღესასწაულს. მეფის მოადგილის ნებართვით კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განკარგულება მოახდინა, რათა დღეს კავკასიის სასწავლებლებში სწავლა არ სწარმოებდეს.

✦ კვირას დიდუბის ეკლესიის ეზოში აკურთხეს განსვენებულ **გიორგი წერეთლის** ძეგლი. საზოგადოება ბლომად დაესწრო. სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა ი. მირიახაშვილმა.

✦ **კ. ყიფიანის იუბილე.** ივ. გომართელმა უკვე შეადგინა იუბილარის კ. ყიფიანის ბიოგრაფია, რომელიც უკვე იბეჭდება.

✦ **ახალი წიგნი.** უკვე დაიბეჭდა და იყიდება ახალი წიგნი. „ქართულ სიტყვიერების ისტორია" (უძველეს დროიდან მე-XVIII საუკუნის-გასულამდე), თხზულება ალ. ხახანაშვილი, მეორე გამოცემა ქ. შ. წ.—კ. გამავრც. საზოგადოებისა.

✦ **პრემიები საუკეთესო თხზულებისთვის.** როგორც მკითხველებმა იციან, ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას ორი პრემია აქვს, რომელიც უნდა მიეცეს საუკეთესო თხზულებათა ავტორთ. პირველი პრემია განსვენებულის თ-დ გრიგოლ დადიანის სახელობის 400 მანეთიანია და მიეცემა ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო ნ. გ. ლოლობერიძის სახელობისა 300 მან. მიეცემა ყოველ წელს. ამ პრემიების მისაღებად 1913 წელს ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობას ხუთი თხზულება წარუდგინეს, მათში ერთი რუსულ ენაზეა დაწერილი, ერთი ფრანგულზე, ხოლო სამი—ქართულზე. თხზულებათა გარჩევა ჩქარა მოხდება.

✦ **შეიარაღებული შეტაკება ყაჩაღებსა და პოლიციელთა შორის.** კარგა ხანია ტფილისში იმის მსგავსი სისხლის ღვრა აღარ მომხდარა, როგორც გუშინ, 13 იანვარს მოხდა ნაძალადევში. ნაშუადღევის ორ საათზე ქალაქში უცებ ხმები გავრცელდა ნაძალადევში დიდი შეტაკება მოუხდათ პოლიციელებსა და ყაჩაღებსაო და სიმართლე კი არავინ იცოდა. მართლაც ამ დროს ნაძალადევში დიდს ხანს სროლა იყო და ნამდვილის ამბავის გაგება მხოლოდ ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ გახდა შესაძლებელი: საქმის ვითარება, როგორც შემდეგ გამოირკვა, შემდეგი იყო: ტფ. პოლიცმეისტერმა ფარული ცნობები მიიღო, ტფილისში ჩამოვიდნენ ცნობილი ყაჩაღები იმერლიშვილი და ფარესიშვილი და ნაძალადევში ბინადრობენ, სახელდობრ ბასეინი ქუჩაზე, სახლი № 15. პოლიცმეისტერის განკარგულებით გუშინ ნაშუადღევის პირველს საათზე ხსენებულს ადგილას 100-დე პოლიციელი გაემგზავრა ყაჩაღთა შესაპყრობად. პოლიციელებმა მეცხრე საპოლიციო უბნის ბოქაულის გამბერგის მეთაურობით სახლს, სადაც ყაჩაღები იყვნენ, გარს შემოუარეს და შემდეგ სახლის ეზოშიაც შევიდნენ. მათ ნამდვილად არ იცოდნენ, ყაჩაღები ამ დროს მართლა სახლში იყვნენ, თუ არა. უცებ სახლიდან ყაჩაღებმა საშინელი სროლა ასტეხეს და სასიკვდილოდ დასჭრეს ბოქაული გამბერგი, მისი თანაშემწე ზუბრიცკი, საპოლიციო უბნის ზედამხედველი ალანია, საპოლიციო უბნის სხვა სამი ზედამხედველი და 10-მდე დაბალი პოლიციელი. ამ მოულოდნელმა სროლამ პოლიციელნი დააბნია, რითაც ყაჩაღებმა ისარგებლეს, გამოვარდნენ სახლიდან და მაგისტრალნი ქუჩისკენ გაიქცნენ. აქ პოლიციელებმა ერთი ყაჩაღთაგანი იმერლიშვილი რამდენიმე ტყვიით მოჰკლეს, ხოლო ფარესიშვილმა დამალვა მოასწრო. დაჭრილ პოლიციელებს ქრილობები სარკინიგზო საავადმყოფოში შეუხვიეს და შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. სროლამ ორს საათზე მეტი გასტანა. სისხლის ღვრის ადგილას ჩქარა მივიდნენ პოლიცმეისტერი, გამომძიებელი და სხვანი.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ 15 იანვარს საღამოს 8 საათზე დანიშნულია **ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება.** განსახილველი საგნები: კახეთში სამუშაოების მდგომარეობა. სამეურნეო სტიპენდიების დანიშვნის პირობები. გ. ბ-ნ ი. წინამძღვრიშვილის სახელის ფონდი და სტიპენდია წინამძღვარიანთ კარის სასწავლებელში. საზოგადოების ორგანოს გამოცემა და სხვა.

კრებას გარეშენი ვერ დაესწრებიან.

## გორი.

✦ 6 იანვარს, ნათლიღება დღეს, დიდძალი ხალხი დაესწრო „იორდანეზე". მრავალი ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსულიყო. ამინდი მშვენიერი იყო.

✦ სამი-ოთხი დღეა გამუდმებულს წვიმს. წუნწუხის გამო ქუჩები გაუვალია.

✦ რამდენიმე დღეა ყასბებმა უფრო ასწიეს ხორცის ფასი. გირვანქას 14 კაპეიკადა ჰყიდიან, ხშირად სამ შაურადაც, თუმცა პირველი ხარისხის ხორცი ნიხრით გირვანქა 11 კაპ. ღირს. საკლავი საქონელი საკმაო შემოდის, ფასი დაწეულია, მაგრამ ყასბები მაინც თავის ნებად იქცევიან, რადგან დამშლელი არავინა ჰყავთ.

✦ ამ ბოლო დროს წვრილანი ქურდობა გავრცელდა. იპარავენ სამზარეულოებიდან ქურქლეულობას, წვრილფეხობას და სხ. 8 იანვარს, ღამე, ტფილისის ქუჩაზე ადუღებული სამოვარი მოჰპარეს ლომიძეს.

✦ ქალაქში ქუნთრუშა გავრცელდა.

✦ შარშან ქალაქის სასალახოში სულ დაუკლავთ ხარი 821, ძროხა 876, ხბო 29 ხბო 29, კამეჩი 156, ცხვარი 2706, ბატკანი 988, ღორი 903.

✦ პარასკევს, 10 იანვარს, დილით დანით მძიმედ დაიჭრა თავი ყასაბმა გიორგი დიდებულმა, მეტ სახელად „ყარაჩმა". მიზეზად დავალიანებას ასახელებენ.

✦ ამავე დღეს, ღამით, სამეფო ქუჩაზე ქურდებმა გასტეხეს ი. კახნიაშვილის მაღაზია. წაუღიათ ოქრო-ვერცხლის ნივთეულობა. მეორე დღეს მოიყვანეს საპოლიციო ძაღლები, მაგრამ ქურდები ვერ აღმოაჩინეს. რამდენიმე კაცი ეჭვით დააპატიმრეს.

✦ დღეს გორის ქალთა საზოგადოება **„მანდილოსანი"** ჰმართავს წარმოდგენას ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში. დასდგამენ ცნობილ ისტორიულ პიესას სუმბათაშვილისას—**„ღალატს".**

**შეცდომის გასწორება.**

კვირის №-ში წერილში: „გ. წერეთლის ხსოვნას", დაბეჭდილია: „როგორც ქართველი პუბლიცისტის მეტად თვალსაჩინოა". უნდა იყოს: **როგორც ქართველი პუბლიცისტის, ბელეტრისტისა და საზოგადო მოღვაწის, მეტად თვალსაჩინოა.**

# დღიური

**ქალის განთავისუფლება.**

ისტორია ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ათასნაირი ცრუმორწმუნოება მაგრად ჩასჭიდებია ცხოვრებას და ტანჯვითა და მწუხარებით იბადება თავისუფალი ადამიანი. ქალის განთავისუფლება მეტად მარტივი საგანია, მაგრამ ძნელად გასაგებია ყველაფერი, რის გაგებაც არ გვინდა. თუ ქალი იმავე დედამიწის შვილია, იმავე ღვთაებრივის სულითაა გასულიერებული, განა შეიძლება წინააღუდგეთ მის სრულს უფლებიანობას, მის გათანასწორებას მამაკაცთან? იყო დრო როცა ფიქრობდნენ: ერთი ადამიანი მონადაა დაბადებული, მეორე ბატონადო, ერთს თეთრი სისხლი აქვს, მეორეს შავიო. დაიმსხვრა ეს კერპი.

მსგავსი შეხედულობა არსებობს დღეს დედაკაცის შესახებ. დღეს ქალი მონა არაა სახელით, მაგრამ ნამდვილად ეხლაც ბევრი რამაა მონური ქალის მდგომარეობაში. ქალი სრულიად მოკლებულია პოლიტიკურს უფლებას, შეზღუდულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისთვის არ არსებობს თავისუფალი პროფესია და სამუშაო, არა აქვს გზა გახსნილი მეცნიერებისა და ხელოვნებისაკენ. ყველანი აღიარებენ, რომ ქალიც ადამიანია, მაგრამ ეს ადამიანი არაა აღჭურვილი სრულის უფლებით ქალი იგივ არსება არისო, ხოლო არა მთელი, დამოუკიდებელი.

ქალი დედაა, გვეუბნებიან: დედა აღმზრდელი შვილისა და დამცველი ოჯახის, კერისა, დიასახლისი. ჩავუკვირდეთ და გავარჩიოთ კარგად ეს მცნებანი. აღმზრდელი შვილისა! დიდებული მოწოდებაა, სახელოვანი მოვალეობა, ბრწყინვალე დანიშნულება, შვილი ხომ მომავალია, ხსნა აწმყო უბედურებისაგან, შვილი ხომ იმედია, სატრფიალოა, საყვარელი, მშვენიერი და მისი აღმზრდელი, მისი ზნეობის განმტკიცებელი, გონების ამამაღლებელი, ხასიათის გამომჭედელი—უდიდესი გმირია, სამშობლოს ღამის შუქურა ვარსკვლავი!

ხოლო ვინ აღზრდის შვილს საუკეთესოს, უერთგულეს მამულისა და კაცობრიობისათვის? ქალი, რომელიც ვერ მისწვდომია გონებით დღევანდელს კულტურას, ვის გულს არ განუცდია ეხლანდელი სოციალური, პოლიტიკური, ეროვნული მდგომარეობა, ასეთი ჩამორჩენილი დედა როგორ შესძლებს შვილს ჩაუნერგოს და გადასცეს, რაც თვითონ არა აქვს, როგორ აღუძრავს შვილს იმ გრძნობებს, რომლებიც თვით არ მოეპოვება, როგორ შეათვისებს იმ აზრებს, რომლებიც მისთვის უცხონი, გაუგებარნი არიან!

მერე ქალი ოჯახის ბურჯი არისო. მაგრამ ამის თქმელთ ყველაზე უწინარეს ავიწყდებათ, რომ დღეს ოჯახი არ არის ის, რაც ოდესღაც იყო. ოჯახი არაა ერთად ერთი სკოლა, სადაც შვილი მიიღებდა სრულს სწავლას; არაა მწარმოებელი დაწესებულება, სადაც ოჯახის წევრები იმზადებდნენ თავისთვის ტანსაცმელს, ავეჯს, მორთულობას, საზრდოს; არ არის სამსჯავრო და სადარაჯო წევრების; არ არის აქტიური ძალა სახელმწიფოსი, არ არის პირდაპირი მონაწილე ეროვნულის ცხოვრებისა. დღეს ოჯახის მაგიერობას სხვა და სხვა დაწესებულება, კავშირი, საზოგადოება ეწევა. და თუ წინად ქალი ოჯახში დიდს თანამდებობას ასრულებდა, როგორ შეიძლება დღეს საზოგადოებრივ კავშირში, რომელმაც ოჯახის ადგილი დაიკავა, ქალი სრულიად უმნიშვნელო და უმოქმედო იყოს!

წინად თუ ოჯახი ჰქმნიდა საჭირო საქონელს, დღეს ყველაფერი გარედანაა მოსატანი და აშკარაა, თუ წინად ქალი ოჯახში მუშაობდა, დღეს იგი გარედ უნდა გავიდეს და თავის ცოდნით და შრომით გვერდში ამოუდგეს ქმარსა და შვილებს ოჯახის შესანახად. ამას მოითხოვს საერთო ინტერესი, ინტერესი მეტის წარმოებისა და სიმდიდრისა, ამას მოითხოვს განსაკუთრებით თვით ქალის განთავისუფლება, ვინაიდგან ქალი, რომელიც მონაწილეობას არ იღებს ქონებრივ სიმდიდრის შექმნაში, ყოველთვის დამოკიდებული იქნება მამაკაცისაგან.

ამგვარადვე უნდა მიენიჭოს ქალს თავისუფლება საკულტურო ასპარეზზე. კაცობრიობა სანახევროდ ქალებისაგან შესდგება და კაცობრიობის კულტურა კი უმთავრესად მამაკაცების შექმნილია, ამიტომ ცალმხრივია, არაა სრული. კულტურის გაფართოვებისა და გაღრმავებისათვის უნდა მოვუწოდოთ ქალებს, მხნედ ჩაებნენ კულტურულ მუშაობაში და თავის ნიჭით, თავისებურის უნარით, შემოქმედებით ხელი შეუწყონ საზოგადოების განვითარებას. ქალები სარგებლობენ კულტურით და მათი უფლებაა მოითხოვონ მონაწილეობა ამ კულტურის შექმნაში.

არ არის მოვლენა პოლიტიკურსა და ეროვნულს სფეროში, რომელიც არ შეეხებოდეს ქალსაც. ქალებიც იმავ საზოგადოებაში სცხოვრობენ, სადაც მამაკაცები და ყოველს განსაცდელს და შევიწროვებას ერისას ისევ განიცდიან, როგორც მამაკაცები. მათთვისაც მძიმე უღელია პოლიტიკური თუ ეროვნული მონობა, ისინიც შეჰხარიან საზოგადოებრივს თვითმოქმედებას, მოქალაქეთა თანასწორობას, თავისუფლებას სიტყვისას, რწმენისას, პიროვნების ხელშეუხებლობას. და თუ ყოველივე ეს სინამდვილეა, განა შეიძლება წავართვათ ქალს უფლება გამოვიდეს პოლიტიკურს-საზოგადოებრივ ასპარეზზე და იღვაწოს, იბრძოლოს საერთო განვითარებისათვის?

არაა, ქალი მხოლოდ დედა განუვითარებელი, არ არის მხოლოდ ოჯახის მეჩანურ მშვიდობიანობის მცველი, ქალი იგივ ადამიანია, სრულუფლებიანი მოქალაქე, ერის შვილი, თანასწორი მამაკაცისა. და არ არის არავითარი გონებრივ-ზნეობრივი, არც ეკონომიური და პოლიტიკური მოსაზრება, რომელიც წინ უნდა გადაეღობოს ქალის გათანასწორებას და განთავისუფლებას...

მაგრამ ერთი რამ მუდამ უნდა ახსოვდეთ ქალებს: ყოველის დამონებულის განთავისუფლება თვითონ დაჩაგრულის საქმეა. თვით ქალებმა უნდა მოიპოვონ თავისი უფლებანი. მამაკაცი ძლიერ მიჩვეულია ბატონობას და მას არ ძალუძს იგრძნოს მთელი სიმწვავე ქალის ბედისა. თუ ვინმე განიცდის ამას და მიემხრობა დედაკაცს, მისი მიმხრობა და თანაგრძნობა გამოიხატება დახმარებით, ხელის შეწყობით. მაგრამ უმთავრესი მუშაობა ქალის განთავისუფლებისა თვითონ ქალებმა უნდა იკისრონ. ქალებმა თვითონ უნდა შეიგნონ სავსებით თავისი ჩამორჩენა და დამონება და იბრძოლონ თავისუფლებისათვის, იბრძოლონ მედგრად, მხნედ, დაუღალავად!..

**სიტყვა.**

## ?.?.?

თქვენ გნებავთ გაიგოთ ჩემი აზრი ქართველი ქალის შესახებ, მაგრამ როგორ გიპასუხოთ—არ ვიცი. ძველად რა იყო ქართველი ქალი—ამაზედ კიდევ შეიძლება რისამე თქმა, ეხლა-კი სადღა არის ქართველი ქალი? განა ეხლანდელ ქალს ქართველი ქალობა ეთქმის? (რასაკვირველია ვგულისხმობ განათლებულ ქალს და ვითომ ასპარეზზედ გამოსულს, არა სოფლის დედა-კაცს). არა მგონია. რისთვის უნდა ვუწოდოთ მას ქართველი ან რაში ეტყობა ქართველობა?

გული—ეს ბურჯი ადამიანის გრძნობისა—მას იშვიათად ან სრულებით აღარ უცემს საქართველოსათვის...

გონება — ბურჯი აზროვნებისა—ხომ ქართველ ქალს საშინაოდ კი არა, უცხო ასპარეზზედ აქვს გავარჯიშებული—და ამ ნავარჯიშებ ქართულს განა აქვს რაიმე კვალი დარჩენილი?—სრულებით არავითარი. გონებაც ხომ ყველაფერს დასტრიალებს, გარდა ქართულისა...

მიმართულება—გონებისა და გულის საერთო წვრთნილების შედეგი სად-ღა არის ქართული? ქართველი ქალი ხომ ყოველსავე ქართულს გაურბის და ყველაფერს მისდევს გარდა ქართულისა!..

ენა—სადღა აქვს ქართველ ქალს ქართული? მხოლოდ მოსამსახურესთან სალაპარაკოდ? ისიც თთვეში ერთხელ.

სიყვარულს იგი თავის სატრფოს სხვისა ენით გაუზიარებს, დედა ალერსს და აღტაცებას თავის ძუძუთა შვილს სხვისა ენით გამოუმჟღავნებს, ნანას შვილსა სხვისა კილოთი უმღერის, ახლად მოტიტინე თავის პირმშოს სხვისა ენით ეტიტინება, საერთოდ მის ოჯახში ხომ არა ქართულია გამეფებული!..

შვილის აღზრდა--მართალია, შვილსა ზრდის, მაგრამ ვის უზრდის და როგორ უზრდის შვილს? მისი აღზრდილი ხომ ყველასათვის გამოსადეგია, გარდა საქართველოისა!..

გარეგნობა—ქართველი ქალი ყველგან განთქმულია სილამაზით, მაგრამ ეხლა ეს თვისებაც თითქოს თანდათან აკლდება.

მაშ რაღა შერჩენია ქართული—არაფერი, გარდა ძველის სახელისა, რომელიც ეხლა მას აღარ ეკუთვნის და როდესაც არც სულიერი, არც გონებრივი და არც ზნეობრივი სახე ქართველ ქალს ქართული აღარ აქვს, მაშ რაღა ვუწოდოთ მასში ქართული ან მას რაღ ვუწოდოთ ქართველი? ეს სახელი ხომ საოცნებო გამოდის და არა ნამდვილი! მთელი საუკუნე რაც ეს სენი ქართველ კაცთან ერთად ქართველ ქალსაც შეეყარა და იგი დღესაც ავადმყოფია ქართველობის უკუგდებით, უარისყოფით. სნეულება მეტად მძიმეა და საზიზღარი... ფათოი.. კეთრისა და ჟამის მსგავსი იგი...

მწარეა ეს სურათი, მაგრამ სინამდვილეს ადამიანმა თვალი არ უნდა მოარიდოს.

დიახ, ქართველი ქალი მხოლოდ ქართველობის აჩრდილს-ღა წარმოადგენს. და სამწუხაროდ მხოლოდ აჩრდილი, ხორცშეუსხმელი და უსულო ჩვენი ქვეყნისათვის და მის მოტრფიალე მამაკაცისათვის საკმაო არ არის. ქვეყანაც უამისოდ უფერულია!..

**ვინმე ქართველი.**

# ა ნ კ ე ტ ა.

## დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა შესახებ.

ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიმართა ასამდე ქართველს მწერალს, მსახიობს, პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს და სხვ., რომელთაც წინადადება მისცა პასუხი გაეცათ შემდეგ ორ კითხვაზე:

**1) ქალის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში?**

**და 2) რას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება დღევანდელმა ქართველმა ქალმა?**

საანკეტო ფურცელი მხოლოდ ორმოცდა ათმა დააბრუნა. ქვემოდ ვბეჭდავთ ყველას აზრს.

—

1) ზნეობრივი აღორძინება, გონებით ამაღლება, გრძნობათა განსპეტაკება, მაგალითად, სიყვარულის სფეროში, კეთილ-გონიერი აღზრდა შვილთა. თანასწორ მამაკაცთა ღვაწლმოსილება მეცნიერებაში, ხელოვნებათა დარგებში, ქვეყნის მართვაში, საზოგადოებრივობაში და სხვა. ფიზიკური გახვითარება-გამშვენიერება ძალ-ღონითაც... კაცობრიობის საერთო გამარჯვების მესვეურობა.

2) შვილნი აღზარდოს მებრძოლის სულით. სამშობლოს ენის დიძაბუნებას უდასტაქროს,—პატივი სცეს მის აღდგენას. მომავალს თაობას მოუწოდოს შესწავლად თავის ქვეყნის წარსულისა და საერთოდ კაცობრიობის ცხოვრების მიმდინარეობისა. ხალხში განათლების შესატანად იღვწოდეს. შეუერთდეს ბოგანოთა და ჩაგრულთა უფლება სამართლიანობისთვის ბრძოლას. ქალი სულით მხნე იყოს და გრძნობით საუთუთი.

**ბაბილინა.**

—

1) ქალი დღემდის შეადგენდა ესთეტიურ ნახევარს კაცობრიობისას და, როგორც აგეთი, ქმრის საყვარელი იყო, შვილების ნაზი ძიძა, გულმხურვალე აღმზრდელი და ოჯახის დიასახლისი. შემდეგში, ის იქნება სპეციალად პედაგოგიის ბურჯი და სხვა ყველ აფერ საქმეში კი მამაკაცის სრული თანაზიარი და სრულ უფლებიანი ადამიანი... და თუ ამ დრომდის შეინარჩუნებს ესთეტიურ თავის თვისებებსაც, უფრო კარგი!

2) ქართველმა ქალმა, როგორც იმ ხალხის შვილმა, რომელსაც დაკარგული აქვს პოლიტიკური სარბიელი და ეროვნული სკოლა და ამ მიზეზებისა გამო უთუოთ მოელის გადაგვარება და ქართველი დედაკაცის ღირსებათა დაკარგვა, უნდა გამოიჩინოს შეურყეველი პატრიოტობა და ამ ადამიანის საუკეთესო თვისებით, ეროვნების დაცვის საუკეთესო წამლით, დაუღალავად უწამლოს თავის ეროვნულ ავადმყოფობას, რათა სრული ჯანმრთელობა მიანიჭოს თავის ერის მომავალს.

**ეკ. გაბაშვილისა.**

—

1) დედაკაცი საფუძველია ბედნიერებისა. იგი ბურჯია ოჯახისა, საზოგადოებისა; ერისა და კაცობრიობისა. დედაკაცი ერთად ერთი უტყუარი საზომია ერის სულიერ ძლიერებისა: რამდენად მთლიანი, თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია საზოგადოება, ეს წვეთი კაცობრიობის ოკეანესი. ყოველი დიადი, შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობების, სადაც დედაკაცი მონა კი არა, თავისუფალი ადამიანია. დედაკაცს გავლენა აქვს არა მარტო შვილებზე, არამედ იგი უდიდესი მადლია მამაკაცთადმი ცით გარდმონავლენი. თუ რამ დიადი, საკაცობრიო შექმნეს მამაკაცთ, ეს დედაკაცის ნებსითი თუ უნებლიეთი ზედ გავლენით. ესპეთ დედაკაცი როგორც პიროვნება—მოისპობა ძლიერი შემოქმედება, და მოისპობა თვით მშვენიერებაც.

2) ენას და თვით-შეგნებას. შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს. ოჯახი უნდა აქციოს სკოლად, აღზარდოს შვილში ქართული სული, ამცნოს თავისი უფლება და მოვალეობა. შეიყვაროს შრომა, თავი იხსნას ნივთიერ სილატაკისაგან და მით ხელი შეუწყოს ქვეყნის ბედნიერებას. უკუაგდოს მველებური ამპარტავნობა, ახსოვდეს, რომ თუ ოდესმე სჭიროდა მამულს დედა, დღევანდელს საქართველოს უფრო სჭირიან იგი—„ჩირქი წარეცხო ტაძარსა წმიდას“ და მხოლოდ ქართველ დედას შეუძლიან იხსნას ტაძარი წარწყმედისაგან. დაუახლოვდეს ხალხს, ისწავლოს და ასწავლოს და ამით შეჰქნას მტკიცე კავშირი სამშობლოს მთლიანობისა და კეთილდღეობისა.

**განდეგილი.**

—

1) ქალი რომ არ იყვეს კარგი ნამუსიანი, ხომ კაცობრიობა მოისპობა. ისევ სჯობიან ქალი იყოს კარგი ნამუსიანი, გაზარდოს ისეთი შვილი, სამშობლოსათვისაც კარგი იყოს და მშობელი ერისათვისაც.

2) უფრო სწავლა და განათლება უნდა ჩაუნერგოს თავის შვილსა. სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგოს, თავმდაბლობით მოქცევა, სხვისი პატივის ცემა და სიყვარული თავის შვილის.

სოფელ ზემო ხანდაკის (გორის მაზრა) გლეხის ქალი

**მაკო გოგიაშვილისა.**

—

1) ქალი უნდა ემსახუროს ოჯახს. კარგი შვილები აღზარდოს. სახელოვნები იყვნენ მშობლებისათვის და ქვეყნისათვისა. მაშ ყველა ქალები ეცადნენ, კარგი შვილები აღზარდონ, არა თუ გლახები.

2) უნდა მიაქციოს ყურადღება მამულს, უნდა იყოს მშრომელი მოყვარული თავის სამშობლო მამულისა, რადგან მამულის შვილია.

სოფელ ხელთუბნის გლეხის ქალი

**ელისაბედ კოჩუაშვილი.**

—

1) ქალი მშობელია კაცობრიობისა და აღმზრდელი.

2) დღევანდელმა ქართველმა ქალმა უნდა მოიპოვოს მამაკაცთან თანასწორი უფლება, მაგრამ ამასთანავე დაიცვას ქალური იერი, იზრუნოს თავის ეროვნების ზნეობრივად, თუ ნივთიერად აღდგენისთვის და აღზარდოს ღირსეული მამულიშვილი.

**ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასა.**

—

1) ქალის მნიშვნელობა დიდია კაცობრიობის ცხოვრებაში, სხვათა შორის, ქალი მმართველია ოჯახისა და აღმზრდელი შვილებისა, რომელიც უმზადებს სამშობლოს საზოგადო მოღვაწეთ. და სადაც ქალი კარგი დედა არის, მისგან აღზრდილი შვილიც კარგი მამულიშვილი და სასარგებლო მოღვაწე იქნება. ქალი ყოველს საზოგადო საკითხში ცხარე მონაწილეობას იღებს და ხშირად დიდი გავლენაცა აქვს ამ საკითხების მსვლელობაში.

1) ჩემის აზრით, ქართველმა ქალმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სამშობლო ენის, მწერლობის და ისტორიის შესწავლას, რომ შესძლოს თავის შვილებსაც, ანუ მომავალ თაობას, ბავშვობიდანვე შთაუნერგოს სამშობლოს სიყვარული. მისი მოვალეობაა ზნეობითი აღზრდა შვილებისა და სწავლა-განათლების გზაზე დაყენება, რომ მათ შესძლონ უხვად შეიტანონ ხალხში სხივი განათლებისა და შეაკავშირონ ისინი ძმურის სიყვარულით.

**ნინო თარხნიშვილისა.**

—

1) საკითხი რას შეეხება: რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა? მისი მნიშვნელობა ხშირად მხოლოდ იგივეა, როგორიც რომელიმე ფუფუნების საგნისა, ტიკინისა, ხშირად მზარეულის და ძალიან იშვიათად ბავშვების აღმზრდელისა.

2) სწორედ იმას, რასაც ყოველი ქალი და დედა აქცევს ყურადღებას ყოველ შეგნებულ ქვეყანაში, და არა იმას, რომ თვითონაც და მისი შვილებიც გადაგვარების გზაზე იყვნენ დამდგარნი და საქართველოს მტრებად იყვნენ გადაქცეულნი.

**ვ. ლამბაშიძისა.**

—

1) მამაკაცებზე გავლენა იქონიონ, რომ კაცობრიობა თავისუფლებისა, ერთობისა და ძმობისკენ მიმყვანებულ გზაზე დააყენონ.

2) თავის კერძო და ოჯახს დაუღალავად უდარაჯოს, რომ მას გადაგვარება არ შეეპაროს; უცხოეთის გავლენას ხელს უწყობდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ერისთვის საკეთილდღეო და სახეიროა, რომ ეს გავლენა ჩვენი ეროვნული სულის და გონების დამასახიჩრებელი არ შეიქმნას. თავისი ყურადღება ჩვენ სოფელსაც უნდა მიაქციოს და

### ქ ა ლ ი

მთვარე რომ ნაღველს მოჰფენს მთა-ველებს,
აიშლებიან მოჩვენებანი
ჩემკენ იწვდიან თოვლსავით ხელებს,
დამტრიალებენ, ვით გედის ფრთანი.
ამ დროს, როგორაც ზღვასა ზვირთები,
ამიტანს ხოლმე ფიქრთა შლილობა
და, ვით ტალღებში მარგალიტები,
ჩემსა ფიქრებში ელვარებს ტრფობა.
მაგრამ მეცნიერთ ვერ მოჰკრეს თვალი
ამ გრძნობას წმინდას, მაცოცხლებელსა
და ვნატრობ: ნეტავ აღმოჩნდეს ქალი,
ის მიაგნებდა მისაგნობს ძნელსა.

**ი. მჭედლიშვილი.**

### საჩუქარი

ცის წალკოტში ვკრეფ ვარსკვლავებს,
ვკრეფ ცის ფსკერზედ ცის ყვავილებს
და ამ ყვავილთ ვკრავ თაიგულს,
ძაფად ვხმარობ ცისკრის სხივებს...
ცხელ ცრემლებით ვბან თაიგულს,
ვბან თაიგულს ცხელ ცრემლებით,
სიხარულის ჰანგზედ ვმღერი,
ვარსკვლავთ კონას დავმღერ შვებით.
შვების გრძნობით დანამღერი,
შვების ცრემლით განბანილი,
ცის გულ-მკერდით მონაკრეფი
ყვავილთ კონა ოქროთ შლილი
მსურს მივართვა, წრფელის გულით,
საჩუქარად ქართველ ქალებს...
გაუმარჯოს ახალ კავშირს,
გაუმარჯოს ახალ ძალებს!

**ი. ვადაჭკორია.**

მადლიანი მოღვაწეობით მის წარმატებას და დაწინაურებას ხელი შეუწყოს. ქართველს ქალს მუდმივი გულის ნადებად უნდა ჰქონდეს ყოველთვის და ყოველგვარს გარემოებაში ქართველად დარჩეს.

**მ. ჯ.—ი.**

—

1) მხოლოდ ცოდნით მდიდარი, სულით მაღალი, დამოუკიდებელი ქალი უტყუარი საბუთია ერის კეთილ-დღეობის. მამა-კაცთან საერთო შრომაში მან უნდა შექმნას ცხოვრება შინაარსიანი, ნათელი. მხოლოდ იმ ერის ბედია უზრუნველყოფილი, ვისაც ასეთი ქალები ჰყავს.

2) შვილების აღზრდას, რადგან ერის წინსვლა მათზედ არის დამოკიდებული. ენას, ჩვენი წარსულის შესწავლას, საერთოდ, ჩვენ ცხოვრებას დღეს. ქალიშვილების ვაჟებთან თანასწორ განათლებას, მათ რომ განვითარებას, მათში თავისუფალი სულის დამკვიდრებას.

**თეოდოსია ჯაფარიძისა.**

—

1) ქალის უმთავრესი როლი ისტორიაში იყო ოჯახის და მისი ძლიერების დაცვა-შენახვა, და რადგანაც დღევანდლამდის, ღრამ წარსულიდგან დაწყებული, კაცობრიობის ეგოისტური კულტურა ოჯახზედ არის აშენებული, ქალის მნიშვნელობაც დიდად უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც დიდ მნიშვნელოვანია თვით დღევანდელი კულტურა, მიუხედავად მისი ეგოისტური პრინციპისა.

2) რადგან თვით ისტორია თანდათან უარყოფს ოჯახს, და მომავალი კაცობრიობისა, ჩემის აზრით, სულ სხვა პრინციპზედ უნდა იყოს დამყარებული-აქედგან თავის თავად სჩანს, რომ ქალისათვის და კერძოდ ქართველი ქალისათვის ოჯახის სამსახური და მისი დაცვა ამიერიდგან შეუძლებელი და თან არა სასურველი ხდება. თანამედროვე ქართველი ქალიც უნდა გამოვიდეს ოჯახის ვიწრო ფარგლებიდგან და ემსახუროს იმ მიზანს, რომელსაც მისდევს მისი მეგობარი მამაკაცი; ეს მიზანი-კი ჩემის აზრით, უნდა იყოს ხალხის სულიერად ამაღლება, რომ ამგვარათ ჯეროვანი ნიადაგი მოემზადოს კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალს.

**მარ. ჩხეიძე.**

—

1) როგორც დაბადება მოგვითხრობს, ღმერთმა რომ პირველი კაცი, ადამი, გააჩინა, უკმაყოფილო დარჩა; ბევრი ნაკლი ამოაჩინა მასში და რომ ის ნაკლი შეევსო, გამოუღო გვერდი და შექმნა ქალი. ეს ლეგენდა გვაგულისხმებს: თუ ქალი უფროსად ნდომებოდა უფალს, მაშინ თავის ძვალს გამოუღებდა, თუ უცროსად—ფეხისას, მაგრამ ნიშნად თანასწორობისა შუადან გამოუღო გვერდი.

2) წარსულს, რომ ძველი დიდების მოქმედება ქვა-კუთხედად დაუდვას ახლანდელ მოთხოვნილებას. ამის ასასრულებლად ყოლიფერი ხელთა აქვსთ: გრძნობაცა და გონებაც. პირადად მე მრწამს, რომ დღევანდელ მომავალ საქართველოს ქალები გამოაბრუნებენ.

**მკაკი**

—

1) ათს სტრიქონში ძნელად თუ აღინიშნება და გამოითქმევა ამ კითხვის პასუხი. ამას კი ვიტყვი: ევა-პირველი მაძიებელი ცოდნისა, მარიამი ღვითს მშობელი, მშობელი თავისუფლების, თანასწორების და მოყვასისადმი სიყვარულის მქადაგებელისა, მეფე თამარი-სიმბოლო ჩვენი ერთობისა და ძლიერებისა.

2) სამშობლო ენას და ნამდვილი ქართველის აღზრდას და თავისი „მე—“ს მოპოვებას.

**ი. გედევანიშვილი.**

—

1) ქალს დიდი გავლენა აქვს მამაკაცზე: ქალი ზე იტაცებს, ამაღლებს მამაკაცს, და იმავე დროს კი კაცის პირველი განმანადგურებელი ისევ ქალი ია.—ვისაც მეგობრობა სწამს, ქალის სულიერი სილამაზე დიდი ყურადღების ღირსია; ქალის გარეგნული სილამაზე კი—კარგია! თვალს ათრობს და თუ მამაკაცს სურს, რომ ყოველთვის იყოს სიმშვენიერის მაღმერთებელი, არ უნდა დაუახლოვდეს ქალს, არა!..—ქალში მხოლოდ ორი გრძნობაა: ერთი ჰქმნის დედას, მეორე კი—მრუშს.

2) ქალი არასოდეს არ უნდა შეუერთდეს მამაკაცს! ე. ი., ქალი არ უნდა გათხოვდეს, რადგან ჩვენ მამაკაცები ღირსნი არა ვართ ქალის წმინდა ალერსის.—ქალმა თვით უნდა გამოსჭედოს თავისი ბედი,—და თუ უკიდურეს შემთხვევაში ქალი შეუღლდება, აი მისი მიზანი: უნდა აღზარდოს მამულიშვილი და გონივრული ხალიჩა მოუქარგოს მომავალ თაობას, რადგან ჩვენი ერის კეთილდღეობა—მხოლოდ და მხოლოდ—ქართველ დედაზეა დამოკიდებული.

**ა. გრიშაშვილი.**

—

1) თუ კი რამ ადამიანობა მოიპოვება კაცობრიობაში, მხოლოდ ქალის წყალობაა.

2) ქართველმა ქალმა უნდა მიაქციოს დღეს უმთავრესად ეროვნულ აღორძინებას ყურადღება.

**შ. დედაბრიშვილი.**

—

1) დედაკაცს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში. კაცობრიობა შესდგება სხვა და სხვა ერებისაგან, ერები ცალკე ოჯახებისაგან, ხოლო საძირკველი პირველისა, მეორისა და მესამისა არის პიროვნება, ცალი ადამიანი. რამდენადაც მათი შემადგენელი ადამიანებ არიან სრულნი, ამაღლებულნი, განვითარებულნი და ბედნიერნი, იმდენადვე ამაღლებულია ოჯახი, ოჯახს გარეშე—ერი, ერს გარეშე—კაცობრიობა. თავი და თავი, მაშასადამე, ოჯახის გონივრულად მოწყობა უნდა ვაღვიაროთ, ხოლო ოჯახში უფლობს დედა-კაცი. დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში დიდზე და პატარაზე; შვილების პირველ-დაწყებითი აღზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დედის ხელშია; დედაა გადამწყვეტელი შვილების ბედ-იღბლისა. შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ დედამ, რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვა შვილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღმბეჭდი, გული და გონება... ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარედ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილსა. დიაღ, ესმოდეს დედა-კაცს, შვილი როგორ აღზარდოს შინ, ოჯახში, და გარედ საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდგან მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს.

როგორც დღეს, ისე მომავალში დედაკაცი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ოჯახს და შვილების აღზრდას. თუ ამას ღირსეულად შეასრულებს დიდს, ძალიან დიდ საქმეს გააკეთებს, დიდს ამაგს დასდებს თავის ქვეყანას. ვინც ამ მოვალეობიდან განთავისუფლებული იქნება, იმას არას გზით არ აეკრძალების არავითარი კულტურული საქმე.

**ვაჟა-ფშაველა.**

—

1) ქალმა ცოდნას, ძიებას და მათს განუყრელ თანამგზავრთ—ტანჯვას და სიკვდილს პირველმა ანაცვალა ედემის მყუდრო უკვდავება და ბედნიერი უვიცობა: მან პირველმა გაჰბედა და იგემა აკრძალული ნაყოფი ბიბლიურ ხისა. ამგვარად ქალმა პირველმა დაარღვია რუტინა და ხელი შეუწყო კაცობრიობის თვითცნობიერების განვითარებას. კაცობრიობის ცხოვრებაში, ნამეტნავად მის სულიერ კულტურის შექმნა თუ განხორციელებაში, ქალის ამაგი ფას-დაუდებელია: იგი მოციქულია ღმერთთა და ადამიანთა შორის. ახალი რელიგია ჰპოვებს ქალში პირველს ადეპტს... ქალი სიმბოლოა სიმშვენიერის, სიყვარულისა... ქვა-კუთხედი ქალის მნიშვნელობისა: იგი ბურჯია კაცობრიობის უმთავრესს უჯრედისა—ოჯახისა, იგი ზრდის და აძლევს მსოფლიოს გენიოსებს და და თვით.. ღმერთებს!

2) ქართველმა ქალმა უნდა აღადგინოს გათახსირებული, შეგინებული, დანგრეული სამშობლო კერა და ზნეობრივ რახიტიკების ნაცვლად გამოზარდოს სულით და ხორცით საღი მამულიშვილები.

**კ. მაყაშვილი.**

—

1) ქალი საზოგადოდ გამკეთილშობილებელი, გამალმობიერებელია კაცობრიობისა და კერძოდ დედა.

2) რას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება დღევანდელმა ქართველმა ქალმა?

დღევანდელმა ქართველმა ქალმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ეროვნების დაცვასა და განმტკიცებას; მეტადრე, როგორც დედამ.

**დუტუ მეგრელი.**

—

1) ერთს ვისმეს უთქვამს:—მამაკაცსა და ქალის შორის მეგობრობა შეუძლებელიაო. ტყუილია! ქალი—მეგობარი ზეარსებად ქმნის კაცს.

2) კერა არ გააცივოს—შვილი ქართველად გაზარდოს.

**დათ. მესხი.**

—

1) ქალი ძლიერი ანდამატია, ვაჟის გულისა და სულის წარმტაცი. ამ მხრით ქალი წყაროა კეთილისაც და ბოროტისაც: სატრფიალო ცეცხლით აღგზნებული ვაჟი თვით სატანას ებრძვის, თვით ჯოჯოხეთს იმორჩილებს,—მაგრამ ხშირად სამოთხესაც დანგრევას უქადის.—ადამიანთა ხასიათის სინაზე და სიმშვიდე, ურთიერთშორის კეთილშობილური ქცევა შედეგია „ნაზი არსების“ გავლენისა, ცხოვრებაში მისი სიახლოვისა. —კაცობრიობის მონახევრეს — ქალს თავიდანვე ბუნებრივად წილად ხვდომია ყრმის პირველ-დაწყებითი აღზრდა—და ადამიანის მაღალი ზნეობის გინა სულიერი სიმახინჯის მიზეზი აღმზრდელი ქალის ბუნებაში ეძიეთ.

2) დღევანდელი ქართველის ენა დამშულია, გონება—დახშული და თვით სულიც—შებორკილი. მათი აშვება, გათავისუფლება მხოლოდ ნამდვილს ქართველ დედას შეუძლია. საზოგადოთ ქალის საკაცობრიო დანიშნულება—ყრმის პირველდაწყებითი აღზრდაა, და ქართველმა ქალმა, როგორც დამონებული ერის შვილების აღმზრდელმა, განსაკუთრებული ყურადღება იმას უნდა მიაქციოს, რომ ყმაწვილს გულში სამშობლო ენისა და მშობელი ერის ყოველმხრივი წარმატების სიყვარული ჩაუნერგოს და გაუღვივოს, მაგრამ ისე კი, რომ ეს გრძნობა კაცობრიობისადმი სიყვარულით იყოს გაშუქებული.

**სილოვანი.**

—

1) კლეოპატრას რომ ცხვირი სხვა მოყვანილობისა ჰქონოდა, ევროპის ეხლანდელი რუკა სულ სხვანაირი იქნებოდა (უცნობი ავტორი). ყოველი კაცი „ცოტათი“ ანტონიუსია, ყოველი ქალი, „ცოტათი“ კლეოპატრა. ქალის ცხვირუკა უხილავი დირიჟორია კაცობრიობის კონცერტისა და ყოველ წამს სცვლის ცხოვრების რუკას. ქალი ძლიერია სწორედ იმით, რომ თვით მონა-ქურუმია უძლიერესი და უმშვენიერესი გრძნობისა. ესე ყოფილა, ესე იქნება.

2) ა) ჯანის სისაღეს, ტანისა და სულის სიმკვიდრე - სიმშვენიერეს, სქესობრივი გრძნობის ბუნებრივ განვითარებას. ბ) დაუჯერებელი სიმხეცეა, როდესაც მომწიფებულ ქალს უკრძალავენ ორსულობას: 20—25 წლის ქალს თუ ქმარი არა,—შვილი მაინც უნდა ჰყავდეს. გ) შეინარჩუნე ქართველის მდიდარი ბუნება. დ) სწავლა-განათლება კარგი რამ არის, მაგრამ ბოხი ხმით ნუ ლაპარაკებ, განივრად ნუ ალაჯუნებ, სათვალეებით ცხვირს ნუ დაიმახინჯებ.

**ნ. შიუკაშვილი.**

—

1) კაცობრიობის წყვრია ქალი,
მისი ხვედრია ეს სამღრთო ვალი:
მან უნდა მისცეს ხალხს ღირსი
შვილი,
ესმას ქვეყნისა, იყოს კეთილი...
2) უნდა აღზარდოს მოსარჩლე
ერთა,
მოსიყვარულე მწყურვალ-მშიერთა...

**გ. ქუჩიშვილი.**

1) ზნეობრივ.. ესთეტიური კულტურის შექმნა.

2) ოჯახის და შვილების აღზრდას ეროვნულს ნიადაგზე.

**ფ. გოგიჩაიშვილი.**

—

1) ქალი ბუნებისაგან უხვად არის დაჯილდოვებული გრძნობით და ამიტომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მას მეტი სინაზე, სიწმინდე და სიყვარული შეაქვს. ქალი უღვიძებს მამაკაცს მაღალ გრძნობასა და მისწრაფებას კეთილისა და მშვენიერებისაკენ; ამგვარად ქალი ამაღლებს და აკეთილშობილებს თვით ცხოვრებას. კაცობრიობის წინმსვლელობა უქალოდ შეუძლებელია.

2) დღევანდელმა ქართველმა ქალმა უმთავრესი ყურადღება ჯერ თავის თავს უნდა მიაქციოს: ის უნდა გახდეს ჭეშმარიტი ქართველი დედა, რომლის სულსა და გულს, უპირველესად ყოვლისა, სამშობლო და მისი წარმატება უნდა აღელვებდეს. მან უნდა აღზარდოს მოზარდი თაობა ეროვნულს ნიადაგზე. ქართველმა ქალებმა ერთად უნდა გამონახონ რაიმე გზა, რომ ქართველი თავადები ჩვენს ხალხს არ უკარგავდნენ საქართველოს მიწა-წყალს.

**ივ. გომართელი.**

—

1) ერთი შეხედვით ქალის მნიშვნელობა ძალიან მცირეა. მაგრამ თუ საქმეს ღრმად ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი მნიშვნელობა მეტად დიდია. ქალი აძლევს კაცობრიობას იმ ზნეობრივ ატმოსფეროს, რომელიც დაუშრეტელი წყაროა გარჯა-მხნეობისა და აღფრთოვანების. ქალი მამა-კაცის ზეშთაგონებაა. კაცობრიობა რომ მოკლებული ყოფილიყო იმ სინარნარესა და სიტურფეს, რასაც ეწოდების ქალობა, ადამიანი ვერც ერთ დიად საგმირო საქმეს ვერ შეასრულებდა, კაცობრიობის ცხოვრებაში ვერც ერთი დიდებული აქტი ვერ განხორციელდებოდა. მამაკაცი საკაცობრიო ეტლს მიმართულებას აძლევს. ქალ-

კი ამ ეტლის მამოძრავებელი ძალაა.

2) რას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება დღევანდელმა ქართველმა ქალმა? ჩვენს განსაკუთრებულ საჭირ-ბოროტო საკითხს. სამშობლოს მან ნელსაცხებელით უნდა დაუამოს კირთებისაგან დალარული იარები, მან თავისი თმებით უნდა მოსწმინდოს მას ეკლის ნაჩხვლეტებით ნაჟვენი სისხლის ცვარები. დედა-ენისა და ეროვნების დაცვა უნდა იყოს ქართველ ქალის სიცოცხლის უწმინდესი საგანი, რათა შესაძლებელი ახდეს, ქართველ მშრომელმა ერმა განავითაროს ნაყოფიერი მოქმედება შრომის საკაცობრიო პრობლემის გადასაწყვეტად და ქართველობამაც დაიჭიროს სათანადო ადგილი საერთაშორისო ოჯახში.

**ვლ. დარჩიაშვილი.**

—

1) ჩემთვის პირადად ეს კითხვა არ არსებობს, უმნიშვნელოა, იმნაირათვე, როგორც მეორე კითხვა: „მამა-კაცის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში", რადგანაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ „კაცობრიობა" ან უქალოდ, ან უმამა-კაცოდ. და თუ შედარებაზე მივიდა საქმე, ვინ იცის, ვისი როლი უფრო მნიშვნელოვანი გამოდგება კაცობრიობის ისტორიაში: ჩემის ფიქრით კი, ქალმა უსათუოდ უნდა გაასწროს მამა-კაცს, მიუხედავად მისი ნაკლები აქტივობისა.

2) დღევანდელი ქართველი ქალის მოვალეობას უნდა შეადგენდეს—სამშობლოს კულტურისა და აგრეთვე თავისი საკუთარი კულტურის ამაღლება, გაძლიერება. გაღრმავება, ყოველ საუკუნეს ნამდვილად იმნაირი ქალი ყავს, რანაირიც მას შეეფერება ან რანაირისაც ის ღირსია. ჩვენი დრო მოითხოვს ქართველი ქალისაგან, რომ იგი უფრო ინტენსიურად, უფრო გაბედულად ჩაერთოს საზოგადო მუშაობაში და გულწრფელად დაივიწყოს წინანდელი კარჩაკეტილობა. **გიორგი ზდანევიჩი.**

—

1) თვით აგებულება დედაკაცისა ამჟღავნებს, რომ მისი ძირითადი დანიშნულება არის შვილთა შობა და აღზრდა. ამ მოვალეობამ თავის თავად განავითარა და განამტკიცა დედაკაცის ხასიათში გრძნობა შებრალებისა და კაცთმოყვარეობისა. აქიდან კი წარმოდგა დედაკაცის მგრძნობელობა. ამ თვისებათა იხედვით დედაკაცი აღვივებს და აძლიერებს კაცთა შორის გრძნობას ადამიანობისას და სათნოებისას. იგი ამ მხრით წრთვნის და ასპეტაკებს ახალთაობის ხასიათსა და სულიერ მადლს. ამ სათნოიანი მგრძნობელობის შედეგია, რომ დედაკაცს შეაქვს საზოგადოებაში სულის სიმშვიდე და სიამოვნება, რაიც სამოქმედო ძალას მამაკაცისას აორკეცებს და, ამიტომ, საზოგადოებრივ გრძნობათაც აფაქიზებს. ამისვე შედეგია, რომ დედაკაცთა პოლიტიკური უფლებანი ფრიად სასარგებლონი არიან დემოკრატიის გაძლიერებისა და გამტკიცებისათვის, რასაც დღეს ცხადათ გვიმტკიცებს ავსტრალიის ფედერაცია. დედაკაცი ბუნება-თანაზიარია, ამიტომ იგი საზოგადოებას მჭიდროდ აკავშირებს და საზოგადოებრივობას აძლიერებს. დედაკაცი თვისი რწმენის მტკიცე დამცველია, ამიტომ დიდი იყო და არის დედაკაცის მნიშვნელობა ახალ იდეათა და მოძღვრებათა გავრცელებისა და გამტკიცების საქმეში.

2) უნდა აღზარდოს ჯან-საღი და გულწრფელი მამულიშვილი, რომელსაც უნდა ღრმად ჩაუნერგოს ქართველი ერის დემოკრატიისადმი ნდობა და სიყვარული და რომელსაც, შეაგნებინოს რა ყოველი პიროვნების დიადი ღირსება, შეუსისხლხორცოს ამ პიროვნებისადმი ღრმესი პატივისცემა. **იაკ. ფანცხავა.**

—

2) დაქცეული ქართველი ოჯახის აღდგენას და ღირსეული მამულიშვილის აღზრდას.

**ექვთიმე თაყაიშვილი.**

—

1) „როგორც სუსტი არსება დედაკაცი გაიწევსო, ცხრა-უღელი ხარკამეჩი იგრე ვერ გაიწევსო". ეს ქართული ბრძნული თქმულება დასკვნაა ქალის საკაცობრიო ცხოვრების სრბა-სწრაფვისა. არა ერთნი მარიამები, სინოები, თამარები, ჟანა-დარკები ჰქმნიდნენ მთელს ეპოქებს ერთა და ხალხთა ცხოვრებაში.

2) „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი შჯობდეს მამასა", ამბობს ხალხი, და ჩვენმა დედებმაც შვილები იმ კვალზე უნდა აღზარდონ, რომ იგინი ქუჩაბანდების მტკვენელებად კი არ გამოვიდნენ, არამედ მამა-პაპათა დაძველებულ დარბაზების აღმკობელ-გამაბრწყინვებლად, მათ მამულ-დედულის ამყვავებლად, მათ საწიგნეების გამაცსებლად თავიანთივე თავის უმეტეს გასამშვენებლად, და გულზე გასაქდევად, რომ თითოეულისთვის ვართ აზელილ-აღნაქსული არსთა არსისაგან.

**მ. ჯანაშვილი.**

—

1) კაცობრიობის ცხოვრებაში ქალს ისტორიულად ზოგ სიავესთან ბევრი სიკეთეც მიუძღვის. ეს სიკეთე თითქოს ჩრდილავს კიდეც მრავალს უარყოფითს მხარეს. ქალი პირველი მეოჯახეა, კერა და სითბო ოჯახური ცხოვრებისა, კულტურის ამამოძრავებელი, მშობელი და მასთან უპირველესი აღმზრდელი. კარგს დედებს კარგი შვილებიც გაუზრდიათ. ისინი მრავალგვარ გონების განვითარებასთან ერთად მტკიცედ ადგენენ ქალებისათვის ბუნების მიერ ნაჩვენებ გზასა.

2) ქართველი ოჯახის კერა ბჟუტავს, მიმქრალია. ისტორიულმა აუტანელმა პირობებმა ქართველი ქალიც გადაგვარებისა და გადაშენების გზაზე დააყენა: გაჰქრა ოჯახური ტრადიცია, ეროვნული სული, მისწრაფება ეროვნულის საუნჯისადმი. ოჯახშიაც, სადაც „ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი" ნორმალური განვითარება მოისპო და სათავეშივე შეგვაქვს ის შხამი, რომელიც სწამლავს და სპობს ეროვნულს სულს. განვითარება ეროვნულს ნიადაგზე, ფართო განათლება, ბუნებრივის გზით სვლა, შვილების ქართველად აღზრდა, თვითარსებობის დაცვა დღევანდელი საჭირბოროტო საკითხია ქართველი ქალისათვის, რომ დღევანდელი და მომავალი ქართველი მსოფლიო ისტორიაში ქართველად იხსენებოდეს და არა ქვეყნის მაჩანჩალად. **ლ. ბოცვაძე.**

—

1) ქალიც ღვთის დანაბადია. ოჯახის, საზოგადოების, თვით ერის ბედი ქალზე ჰკიდია. კეთილი ქალი უზენაესი სიკეთეა. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, ქალის აღზრდამ დაგვიახლოს იდეალი იმ სიკეთისა. კეთილი ქალი არა ნაკლებ ძვირფასია კაცობრიობისთვის, ვიდრე კეთილი კაცი. მაგრამ ბოროტი ქალი...

2) ქართველმა ქალმა არ უნდა დაივიწყოს, რომ იგია შვილი ქართველი ხალხისა. როგორც შვილს, ჰმართებს არა მარტო სიყვარული და პატივისცემა, არამედ ზრუნვაც მშობელი ხალხის დღეგრძელობისათვის, ყოველმხრივ წარმატებისთვის, მისთვის აგრეთვე, რომ სხვასაც, ქალს თუ ვაჟს, შეაგნებინოს მოვალეობა რომელსაც იგი დაუყენებია მშობელი ხალხის მოჭირნახულედ.

**პეტრე მირიანაშვილი.**

—

1) ქალი მატარებელია სიცოცხლისა და მისი მთავარი დანიშნულება კაცობრიობის ცხოვრებაში, ლურსმანი ქალის არსებობისა „შვილთ-ხხმა", ე. ი. ჩამომავლობის წარმოებაა.

2) **იმას, რომ ქართველი ერის რაოდენობა კლებულობს**; ეს დიდი უბედურობაა ერისთვის და ქალმა უნდა გამოიყვანოს სამშობლო ამ საშიშროებიდან ორი საშუალებით: **ოჯახის თავდებული დედობით და ქრისტეს მოძღვრებით გამსჭვალული ჩამომავლობის აღზრდით.**

**ეპისკოპოსი ლეონიდი.**

—

1) ქალი კაცობრიობის ერთი ნახევარია, ურომლისოდ მეორე ნახევარი შეუძლებელია; ამიტომ კაცობრიობა მთელ თავის ღირსება-ნაკლულებით, შეიძლება ასე ვსთქვათ, ქალის შვილია. ქალმა შვა მაცხოვარი სოფლისა, განმაახლებელი კაცობრიობისა.

2) ქართულ ოჯახს და მასში შვილების ქრისტიანულ-მამულიშვილურ აღზრდას.

**დეკ. ნ. თალაქვაძე.**

—

1) ქალი საძირკველია, რომელზედაც უნდა აშენდეს კეთილ-დღეობა კაცობრიობისა.

2) უნდა აღზარდოს კარგი მამულიშვილი, უნდა ეცადოს შვილი ნასწავლი გამოიყვანოს, უნდა ეცადოს თუ თითონ არ შეუძლიან, ვისმე დახმარებით შვილი სინიდისიერს და კეთილ გზაზე დააყენოს.

სოფელ ქუპიანის (გორის მაზრა, ახალქალაქ. სამამასახლ.) გლეხი **პორფილე ხინაზაშვილი.**

—

1) ფასდაუდებელი. ამის მაგალითები ისტორიაში ურიცხვია.

2) ა. ყველაფერს, რაც იმას ასე თუ ისე წინ წასწევს და ძველებური კარ-ჩაკეტილობიდან გამოიყვანს. უწინარეს ყოვლისა ფრიად სასურველია, რომ ის, როგორც ჩვენი ეროვნული ცხოვრების საფუძველი, იყოს ღირსეული ქართველი დედა და მოქალაქე. ქართველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს კარგად, რომ იმათი წახდენა ერსაც წაახდენს. ბ. ჩემის აზრით, ჩვენს პირობებში უპირატესობა უნდა მიეცეს ქალთა სამეურნეო და საპროფესიო განათლებას, რომელსაც შეძლების დაგვარი საზოგადო განათლებაც უნდა თან მისდევდეს, ჩვენს ქალებს უკვე ვხედავთ თავისუფალ შრომის ასპარეზზე, გამართლდა იმედი, ეს სანატრელი პროცესი, თავდები იმათი მომავალი დამოუკიდებლობისა, ერთ წერტილზე არ გაიყინება. უკვე არსებული ქართველ ქალთა კავშირი დიდ როლს ითამაშებს ჩვენი დების გათვითცნობიერების საქმეში. ვუსურვებ წარმატებას. **ტრ. რამიშვილი.**

—

1) ქალს აქვს ის მნიშვნელობა, რომ იგი დაეხმაროს კაცს ოჯახის შექმნაში და არსებობისთვის ბრძოლაში.

2) ქართველი ქალის ვალია შექმნას ქართული ოჯახი და აღზარდოს შვილები, რადგან მათზეა დამოკიდებული ქართველი ერის ბედნიერება. გარდა ამისა ქართველმა ქალმა უნდა მიაქციოს ყურადღება ჩვენი ერის ქონებრივ მდგომარეობას და დაეხმაროს კაცს ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**მუშა ი. ან. მერკვილაძე.**

—

1) აუცილებლად ითხოვს ცხოვრების სინამდვილე, რომ ქალი იყვეს არა ნაკლებად განათლებული მამაკაცზე, თუ სახსარს არ არის მოკლებული. და დედა გახდეს ნამდვილი შვილების აღზრდაში, რომ ბურჯი შეიქმნას ოჯახის აღორძინებაში, თუ ამ შემკულ ოჯახის ბურჯს—დიაცს თანამედროვე ხელს შეუწყობს ყოველ კეთილად დაწყებულს ქართველი ქალის ნამოქმედარს. მაშინ მნიშვნელია ქართველი ქალის თავგანწირული მამაკაცთა გვერდში ამოდგომა და ცხოვრება.

2) უპირველესი—ქართული მწერლობის შესწავლა; მტკიცედ სამშობლო ენის ცოდნა; ჭრა-კერვის აუცილებლად ცოდნა; საჭმელების მომზადება; ტყუილ-უბრალო სიარულის თავიდამ მოცილება; თავისი ოჯახის ერთგულება და სიყვარული; გალოთებული ბაზრა და ლოტოს თამაშის აცილება. დამახინჯებულ და გასაწითლებელ ტანისამოსის ხმარების თავიდან მოშორება; და მაშინ დარჩება ქართველი ქალი ნამდვილ დიად ქართველ ქალად, თუ გარეგნული მაიმუნური უსარგებლოდ შეთვისებული საქციელს ზურგს შეაქცევს. **ე. ჩ.**

—

1) ამის პასუხს თვით ხალხი იძლევა: ა. დედაკაცმა თუ გაიწია—ცხრა უღელი ხარიც ვერ დაიჭერსო.

ბ. დედაკაცი ოჯახს ააშენებს კიდეც და დაახგრევს კიდეცო.

2) დღევანდელმა ქართველმა ქალმა ყველაზე უწინარეს უნდა მოიპოვოს მოქალაქეობრივი უფლებები და განვითარებასთან ერთად არც ერთ წამს არ უნდა დაივიწყოს დედა-ენის მნიშვნელობა.

(ხელმოუწერელია. რედ.)

—

1) მე როგორც მუშას არ შემწევს იმდენი სწავლა, რომ მეცნიერულად გავარკვიო საკითხი. ჩემი შეხედულება ეს არის: თუ მომავალ ცხოვრებას გავაუმჯობესებთ ქალი ვაჟკაცს გაუთანასწოროდება მოვალეობითაც და უფლებითაც. ქალს დიდი საქმე ევალება მომავალ ცხოვრებისათვის, მომავალ თაობის სწორ გზის დაყენებისათვის.

2) დღევანდელმა ქართველმა ქალმა
მა განსაკუთრებით ყურადღება
და მიაქციოს შვილების აღზრ
მოვალეა ბავშობიდანვე ჩაუნერ
გულში როგორც სამშობლოს
სამშობლოს ჩაგრულ ხალხთა ს
რული, შეისწავლოს ხელოვნება
მავალი ცხოვრების გასაუმჯობ
ლად. იყვეს მუყაითი, როგორც
ხისთვის ისე საზოგადოებისთვის.
**მუშა ყუფარ**

—

1) ქალი კაცთან ერთად განმგ
ბია კაცობრიობის მოდგმისა. მ
მნიშვნელობა დედაკაცისა ამი
განისაზღვრება: მან საზოგად
უნდა მისცეს კარგად აღზრდ
სასარგებლო წევრი.
2) უნდა აღზარდოს შვილი, ს
გებლო სამშობლოსათვისაც, ხ
სათვისაც.
ატენელი გლეხი **დიმიტრი განიშ**

—

1) ქალის მოვალეობას უნდა
დგენდეს ბავშვების კარგათ აღ
და ოჯახის მოვლა, მაგრამ, რად
თანამედროვე სოციალური უკუ
თობის გამო ქალს თავის კანონ
მოვალეობის შესრულებაში ელო
მრავალი ხელის შემძლელი მიზე
რომლების აუცილებლათ ქალი
შესძლებს მოვალეობის შესრულ
ამისთვის ქალმაც უნდა მიიღოს
წილეობა საერთო საკაცობრ
განმანთავისუფლებელ საქმიან
ში
2) ქართველი ქალის განსაკუთ
ბული ყურადღებაა უნდა მიე
სამშობლო ენის დაცვას დამახი
ბისაგან; უნდა იცოდეს კარგათ,
ბავშვებსაც შეასწავლოს სისწ
რადგან სამშობლო ენის უცო
რად ვერ გაიცნობს ადამიანი თ
თავს, ვერ გაიგებს თავის საკუთ
ცხოვრების სიძნელეს და ვერ
ჩევს ცხოვრებაში სწორ გზას.
**მუშა ვანო ბალიაშვილ**

—

1) ქალმა რომ იცოდეს თა
მნიშვნელობა კაცობრიობის ც
ვრებაში,—არც ასე დაკნინდებოდ
2) დედაკაცისათვის საჭიროა
ტად სერიოზული აღზრდა, რად
უამისოთ შეუძლებელია ქემარ
წყობა მამაკაცისა.
**ვ. შალიკაშვილ**

—

1) ქალი უნდა იყოს ოჯახის ბ
ჯი. თვისი ზნე ჩვეულებით და
ლების აღზრდით ურთხილდებოდ
ოჯახის კოხებას მემკვიდრეების
ძავლისათვის.
2) შვილების აღზრდა დედა
ზედ, სამშობლოსი და მამულის

---

# ფშაველები

(ეთნოგრ. მასალა)

**დედაკაცი.**

გზად მომავალი ფშავლის დედაკაცი რომ დაინახოთ, თავის დღეში ვერ იტყვით თუ ის მართლა დედა-კაცია, მინამ არ მოგიახლოვდება და იმის „ჩიქილ-ხელსახოცს (თავ-ჩიჩმაგსაც ეძახიან დამცირებისათვის) არ დაინახავ, იმის კაბას და „სარტყელ-გულისპირსა".

დიაცი ვაჟკაცივით აბიჯებს; მაგრა, მკვიდრად, გაბედულად. გასათხოვარი ცოტად მორცხობს, კრძალვით იქცევა. გათხოვილი, ქმრიანი ქალი უფრო გაბედულია, თამამი, მოურიდებელი. უცხო კაცს არ უბრთხის, არ ემალება; ბაგეს „ბარისასავით" (ბარის დედაკაცი) ჩიქილის ტოტში არ გაიხვევს და თავ-ჩაღუნული არ გაგცდება, ხოლო თუ უცხო ხარ, სალამს არ მოგცემს, რაც ბარად, ნამეტნავად არაგვის ხეობაზე, იშვიათად მოხდება: არ შეიძლება ბარელი დედაკაცი უსალმოდ გასცდეს უცხო ადამიანს მგზავრს ნამეტნავად, თუ დარბაისლობა, კაიკაცობა კეთილ-შობილება შეატყო, „საღამო მშვიდობისა", „დილა მშვიდობისა". „შუადღე მშვიდობისაო"-თი არ მიესალმის, თავის კანტურით, დაკვრით. ფშაველი დედაკაცი ამას არ დაგიდევს: რაც უნდა დიდი-კაცი ბრძანდებოდე, თუ ნაცნობი არა ხარ, თავს არ დაგიკრავს, ხოლო თუ გამოელაპარაკე გინდ უკანასკნელი ბრძანდებოდე, სიტყვას არ დაგიძვირებს, გზას იკითხავ, კაცს, სახლს თუ სხვა რასმე, ცოდნაზეა დამოკიდებული, გასწავლის, არა და „და-ძმობამა ან ძმა-იღაია (რაც იმავე და-ძმობას ჰნიშნავს) არ ვიციო" თავიდან მოგიშორებს.

თუმცა ამ შემთხვევაში ფშაველი დედაკაცი თითქოს უზრდელობას, უკულტურობას იჩენს „ბარისასთან" შედარებით, მაგრამ სხვა შემთხვევებში უფრო ზრდილია და ფაქიზის ზნეობისა. მაგ. ფშავლის დედაკაცი სასმელს, როცა თასს მიაწვდის მამაკაცი დაიჩოქებს, დაილოცება და ისე დალევს, ფეხ-დგომელამ რომ დალიოს ეს მისთვის თავზე ლაფდასხმაა—დიდი სირცხვილი.

წინაშე ოჯახისა და ნათესავისა დედაკაცი დიდს ვალს იდებს კისრად. ოჯახისა ის დიდი მონაა; იმას ჩანერგილი აქვს ღრმად გულში და თავში, რომ ოჯახი წმინდათა-წმინდაა. კერა წმინდა ტრაპეზია, სადაც შეიწირების მსხვერპლი ცოცხალთა სადღეგრძელოდ და მკვდართა მოსახსენებლად. ამიტომ იგი მეთვეურობისა, (ბოსლობა) და მშობიარობის დროს ორმოც დღეს სტოვებს ოჯახს, რათა განწმენდილი და განბანილი შევიდეს ოჯახში და არ შებღალოს მისი სიწმინდე. ერთის შეხედვით ეს უკულტურობად მოეჩვენება ყველას პირველ შეხედვით, მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდება საქმეს და თვით ფშავლების ცხოვრებას, ეს არ გაუკვირდება. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ თვითეულ ოჯახში 40—60 სული სცხოვრობდა ძველ დროში, ათასი მიმსვლელი და მომსვლელი უსათუოდ ეყოლებოდა ოჯახსა და მაშასადამე მელოგინე დედა-კაცის ყოლა ოჯახში, ბავშვის ტირილი და სხვა არ იქნებოდა სასიამოვნო არავისთვის. ოჯახში შეიძლება ორი და სამი მელოგინეცა ყოფილიყო, მაშინ ხომ არა მარტო სტუმარი შეწუხდებოდა, თვით შინაურებსაც დაამწარებდა ამოდენა ბალღების ღრიანცელი. ძველად რომ ოჯახები დიდი იყო და მთელს გვარს შეიცავდა, ამას დღეს დოლმენები (აკლდამები) ამტკიცებენ,—საგვარეულო სამარე, სადაც მთელი ოჯახის წევრები იმარხებოდნენ. ამ ჩვეულების ახსნას თავი დავანებოთ და აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ორსული დედაკაცი, თუ მას მშობიარობამ მინდორში, ან ტყეში არ მოასწრო მუშაობისა ან მწყემსობის დროს,—ოჯახს გარედ, ცალკე მისთვის აშენებულ ფანჩატურში, ქოხში გაჰყავთ, სადაც მან ორმოცი დღე და ღამე უნდა დაჰყოს. ამ ვადის შესრულების შემდეგ ეძლევა მას ნება დაუბრუნდეს საერთო საცხოვრებელ სახლს, ოჯახს, ახლად შემომატებულითურთ. მშობიარე დედაკაცს, ვიდრე დანიშნული დრო არ გავა და არ „დაირეცხება", **მექოხე** ჰქვიან.

მეთვეურობის, რიგის დროსაც, დედაკაცი სტოვებს ოჯახს და გადის გომურში (ბოსელი), ან „საბოსლოდ" აგებულს ოჯახში. ამ დროს დედაკაცს **მებოსლეს** ეძახის ხალხი და ვერც შევა ოჯახში იმ დრომდე, ვიდრე არ „დაირეცხება".

— წამოდი, ქალო, შინა!

— ვერ წამუალ.

„რად არა, ქალო?!

— ბოსელშია ვარ და იმითა; როცა დავირეცხები", შინ მაშინ დამპატიჟოდი.

ამ **დარეცხვას** ისე ამბობს დედაკაცი, თითქოს პირის ბანაზე იყოს ლაპარაკი. როცა დედაკაცი ამას იტყვის, მაშინ მოპატიჟეს ესპობა ყოველივე ღონისძიება განაგრძოს თხოვნა. ყოველი ფშაველი თავის სახლს „აწმინდებს", წმინდად ინახავს, იცავს შებღალვისაგან, ვინაიდგან, როგორც მექოხე, ისე მებოსლე დედაკაცი უწმინდურად ითვლება. ეს ჩვეულება ებრაულია, ეთანხმება მოსეს რჯულსა და უძევს სარჩულად სარწმუნოებრივი მოსაზრება, ხოლო საფუძვლად—ჩვეულება დამოკიდებული პირად გრძნობებზე და გემოვნებაზე. პროფ. მაქს. კოვალევსკი ყოველივე მკვდარ გამონაყოფს ცოცხალი სხეულისას სთვლის უწმინდურად.

მაგრამ ამგვარ მოვლენათა ახსნა ხომ ჩემი საქმე არ არის, როგორც საეთნოგრაფიო ცნობათა მწერალისა...

## II

ოჯახი ფშავლის წარმოდგენით სადგურია, არა მარტო იმათი, ვინც ოჯახში სცხოვრობს, არამედ მას სხვა პატრონიცა ჰყავს, იმ სხვა პატრონს **სახლის ანგელოზი** ეწოდება. მაშ რადა ჰსვამს ფშაველი მუდამ ამ სახლის ანგელოზის სადღეგრძელოს, თუ იგი არა სჯამს ოჯახის პატრონს და მას არ ეთაყვანება: „გაუმარჯოს ამ სახლის კეთილ ანგელოზს, კეთილის თვალით იყოს ყველა იმაზე, ვინც ამ სახლისახი არიას და ვინც კეთილის გულით შამოვა ამ ოჯახშიო". უმთავრესი ნაწილი ოჯახისა კერაა და კიდევაც სწორედ ამ კერას უფლობს და განაგებს დედაკაცი როგორც დიასახლისი. კერა წმინდაა, ნაღმიახია, რადგან, პირველ ყოვლისა, მაზე ცეცხლი ანთია, გამათბობელი და გამაშრობელი როგორც შინაურის ისე გარეულისა, ვინც ოჯახს ეწვევა; კერაზე კეცებში ცხვება პური არსებისა; რამდენს ეს პური გააძღობს „სტუმარსა შორის გზისასა". კერაზე ცხვება კადა-პურები ხატში მისატანი მსხვერპლად, „თავის სალოცავის" პატივსაცემლად და იმავე დროს მის მოსამადლიერებლად. იქვე მზადდება ყოველივე სანოვაგე დედაკაცისავე ხელით და მათ შორის ხინკალი, მკვდართა მოსაგონებლად, მოსახსენებლად, რასაც ეწოდება **მკვდართად სახელის შადება**. ესეც დედაკაცის ვალია. სანოვაგით გამართულს, შემკულს ხონჩებს, თავით უდგა ქურქლით ან სპილენძის თუნგით (რაც უფრო ხშირია) წყალი, გვერდზე ან მეორე თავით მათრობელა ღვინო ან არაყი, ხოლო სუფრას თავზე დასტრიალებს დედაკაცი ქაფქირით ხელში, რაზედაც ხაჭარი და ზედ ნაკვერჩხალი ყრია სარკმლით შეზავებული. ამ ქაფქირს ავლებს თავზე სუფრას წადმე და თან დასჩურჩულებს: „ხარის ქედის მადლითა, ალილის მუშის მადლითა, იერუსალიმის მადლითა, თქვენამც მოგივათ, ჩვენო მკვდრებო, დიდნო და პატარანო, ეს სასმელი, ეს საჭმელი, თქვენთვის გაგვიჭმერებავა, თქვენსამც ხებას იქნება, ნურავინ მოგეცილებათ, ნურავინ დაგაღონებთ, ვინც თქვენ გენიახებათ ის მაიწვიოდით ბალღი ვინ მოგბიროოდესთ ობოლი, უპატრონოო" და სხვა.

კერაზედვე მზადდება და კეთდება, როგორც მოსაკითხი ცოცხლებისა, ისე ნათესავებისა წირვების დროსა.

კერაზედვე, ცეცხლზე თბება (ლხვება) დანისწვერზე დაგებული კომბი სახთელი, იქვე კეთდება (ხაოიკხება) ხატისა და ღვთის წინაშე ასანთებად ხელით დასორსლებული სანთელი და სხვა.

მაშასადამე კერას ტყუილად არ დავარქვით ტრაპეზი, რაზედაც დედაკაცი მართლა რომ მსხვერპლსა სწირავს ღმერთსა.

ფშაველი დედაკაცი ბევრ სხვა საქმეს ასრულებს დიდის ამბით და გულუხვოდ თავის ნათესავების მიმართ. ყველაზე მეტს ხარჯს თავის სათავნოდან დედაკაცი ეწევა ხათლიაზე, ძღვენის სახით. მან ყველაფერი თავის ხელით უნდა შეამზადოს, უნდა საჩოხე მოუქსოვოს, ახალოხი, ყველა მის ოჯახის წევრებისათვის, ოღონდ რომ იყოს წლოვანობისა და სქესის მიხედვით უნდა საჩუქარი მიართოს, ზოგს ქრელი წინდები, ზოგს საკაბე, სხვას თავ-მოსახვევი და სხვ.

ნათესავთა და მეზობელთა ქორწილისათვისაც მას სჭირდება ბევრი რამ ძღვნად, საჩუქრად. ამას თან მოსდევს „მოსაკითხები", ზოგი სნეულებისა, სხვა—ახლად დაბადებულთათვის. საზოგადოებრივი აზრი და ჩვეულება ამ რიგად დედაკაცს ბევრს მოვალეობას აძებს კისრად და ყოველივე კი ეს მოითხოვს მისგან მხნეობას, შრომას და მომჭირნეობას, რაშიც ფშაველ დედაკაცს იშვიათად თუ ვინმე შეედრება, იგი მარტო ოჯახს როდი უვლის და მის საქმეებს განაგებს, აწესრიგებს, ამავე დროს ოჯახის გარეთაც შრომას ეწევა, შვილის აღზრდასაც არა ჰღალატობს; სიცხე-პაპანაქებაში ხშირად ჰნახავთ ფშავლის დედაკაცს სადმე გვერდობზე ყანას ჰკიდეს გაცხარებული, ხოლო იქვე პალოებზე, აკვანი იყოს მიბმული, რაშიც ძუძუთა ბავშვი წევს ხის ტოტებით დაჩრდილული, მოსაგრილებული. მამაკაცისთვის დედაკაცი სწორედ მარჯვენა ხელია და კიდევაც მეტი. ბევრჯელ უხდება მას მარტოკას გარეთ დარჩენა ცის ქვეშ მუშაობის, მწყემსობის დროსა. იმას ბევრჯელ უხდება საქონლის მოსატაცებლად ბინაზე მოსული მგელი და დათვი მოიგერიოს. ხშირად იარაღის ხმარებაც სჭირდება. სასტიკი მთის ბუნება არსებობისთვის ბრძოლაში დედაკაცს ბევრს დაბრკოლებას უყენებს წინ, ბევრნაირად ხელს უშლის საოჯახო საქმე შეღავათიანად წაიყვანოს. ამიტომ იგი ხშირად ამოიკვნესებს და ამ კვნესას თან შემდეგ სიტყვებს ამოაყოლებს:

„სისხლის პურის ქამა გვაქვს,
ხლისა"!

დედაკაცი მამაკაცზე ძლიერ
სასტიკად ეცრძვის ძაფრს, საძ
ბუხეას, ეჯავახება, არ უტყდება
თვით ეს ბრძოლა დიაცს მამაკა
ჰქონის, მას ამსგავსებს განა მო
სიარულში? არა, ხაც კი მამაკა
აქვს: ბოხი, ლლიერი და ვერავი
მსგავსებას ვერ იპოვნით ბარ
ქალაქელის ხმ, წიკვინა, მ
ბულ ხმასთან რომ შეადაროთ.
ხმა, საუბარი. ახალგაზდობაში
ველი ქალი მეტად ლამაზია, ტ
ფაა როგორც ია, მაგრამ, როგორ
თვით ია, ეს სილამაზეც ძალე ჰ
ბა, სწრაფად იკარგება. ოცდა
წლის ქალი უკვე ხნიერია, მოხუ
ბული და ყველა ეს ჯაფის, გა
ტებული შრომის ბრალია. გა
შრომისმოყვარეობა, როგორც
მაკაცისა, ისე დედაკაცისა იდე
არის აქ დასახული და მცონარა
მიანი სიძულვილისა და დაცინვის
ნადა ხდება ყველასთვის...

ქალს ნუ ჰკვლევ ჯორობა
(დღეობაში
ტანთ ნათხოვარი აცვია.
ქალი თუ გიხდა ლამაზი
დაჰკვლიე ქერის მკაშია.

ამას გვიამბობს ხალხური სიმღ
და ვინ შექმნა ეს სიმღერა? თქმ
უნდა მამაკაცმა, ხოლო მამაკ
უკარნახა ეს სიტყვები თვით ამ
სასტიკმა ბუნებამ, საცა „სის
პურის ქამაა", ეს შეუსაბამო დ
რაგული ფიქრი აფიქრებინა, დ
კაცი ოღომც ოჯახისთვის იყოს
მოსადგეი, მისი სილამაზე ბე
საჭირო არც კი არისო და ამით
მაკაცს ლუკმა-პურისთვის გაფ
ცებულს ჰსურს დედაკაცისთვის
ჭიროდ არა სცნოს ის, რაც მ
ციური, ღვთაებრივია, მიმზიდვე
რითაც ლამაზდება ჩვენი დ
პირი ცხოვრება.

კიდევ კარგი, რომ ბუნება
მაკაცს არ ეკითხება და სილამა
როგორც მეოჯახეობის ნიჭით,
ველ ქალს უხვად აჯილდოვებს,
ლო ვაი იმ პირობებს, ფშაველ
რომ უდროოდ, ადრე და მალ
სილამაზეს სტაცებს, და ძალა-
ბურად, შოთას სიტყვებს გვათქმ
ნებს:

„ანუ ეგრე რამ გაგლია,
„ანუ პირველ რამ გაგავსო"
**ვაჟა-ფშაველ**
(დასასრული იქნება)

...ლის ჩანერგვა; მათ განა-... და ზრდილობას.

**ად. ბერელაშვილი.**

—

...კაცი არის მამაკაცთან ...მსოფლიო კულტურის შე-...ი და ამყვავებელი. მისი ბუ-...ტავს სიკეკლუცეს, სილამა-...სიყვარულს, რაზედაც ტრია-...თელი კაცობრიობის ცხო-...ღერძი.

...ქართველოს პოლიტიკურ ...ფლებას, ოჯახის ეკონომიურ ...ინებას და თან ცხოვრების ...რატიზაციას, მიწა-მამულის, ...ზნეობის ფაქიზად და ერ-...ად დაცვას, ევროპის კულტუ-...და უმაღლესი სოციალური ...ს შეთვისებას ნაციონალურ ...ოტში, სწავლა-აღზრდის საქმეს ...კაცთან თანასწორობას. რო-...შრომაში ისე უფლებაშიაც.

**მ. ლალიძე.**

—

...ქალოდ ხომ კაცობრიობა არ ...და, მაშასადამე, ყოველგვარი ...ობა ჰქონია და აქვს! ...მრთელი, გონება ფხიზელი ...დაზარდოს.

**კ. მესხი.**

—

...ი სტრიქონი ძალიან ცოტაა. ...არა, ასიცა და ათასიც რომ ...არ მეყოფა, რომ ღირსეუ-...ვაშკო ქალი ქებითა თუ ძა-...როგორც ზღვა კოვზით არ ...ისე ქალის ქება-ძაგებისა-...ტყვა არ გამოილევა. ...განსაკუთრებული ყურადღება ...ს აღზრდას უნდა მიაქციოს, ...ავის სამშობლოს გამოადგეს.

**კოტე ყიფიანი.**

—

...ანამედროვე ქართველმა ქალ-...განსაკუთრებული ყურადღება ...აქციოს თავის თავის განა-...განვითარებას; მან ყოველი ...ძიება უნდა იხმაროს ევრო-...ულტურის შესაძენად და შეი-...ს ყველაფერი საუკეთესო, რაც ...ქმნა ევროპიულ ცხოვრების ...ლიტებრივმა ფორმამ. მაგრამ ...ავე, მან არ უნდა დაჰკარგოს ...უმაღლესი, მართლაც რომ ...ივთ ეროვნული თვისებანი, ...თვისოს ევროპის კულტურის ...ესო თვისებანი.

**დ. არაყიშვილი.**

...ებელი № 8, ვაგონი 429.

—

...ალამაზოს კაცობრიობის მძი-...ვრება.

...ა) უწინარეს ყოვლისა ძვლე-...ვინამდე ნამდვილი ქართველი ...უნდა იყოს, იმ შემთხვევაშიც ...ოდესაც არაქართველთან შეუ-...ბ; ბ) უნდა იყვეს მეგობარი ...ანაგი, დამხმარე და ზემშთა-...ელი კაცისა ყოველივე კე-...ბილურ და მაღალ საქ-...გ) უნდა წარმოშობოს ჯან-...შვილები და უნდა აღ-... ისინი შესაფერ დისცი-...თ და გააღვივოს მათში სამ-...სადმი სიყვარული დ) უნ-...ს მორწმუნე, რადგან სარ-...ოში—ძალაა, გამაერთიანებე-...თილშობილების მომგვრელი ...ლიურ საზრდოს მიმცემი. ე) ...ცდილობდეს მოსწონდეს ...და იყვეს სპეტაკი არამც თუ ...ვრივად, არამედ ფიზიკურადაც.

**გ. გაბაშვილი.**

—

...მამაკაცი იმდენად ძლიერია, ...ვეყნის შესამუსრავად გამზა-...ს ზარბაზანსაც კი ხმას ჩააკმე-...მიდა, უკეთუ იგი წრფელის ...თ შესძახებდა: შესდექიო.

...ართველი ქალი უფრო, ვიდ-...კაცი, მეტს უნარს იჩენს კუ-...ულ მისწრაფებისადმი. ქარ-... ქალმა უნდა გაუღვიძოს ...ერს ხალისი შემოქმედებით ...ეობისა, განუვითაროს გემო-...ხელოვანისა, მიაჩვიოს მშვე-... და ლამაზის დაფასებას და ...ლოს ერში ღრმა პატივისცე-...ოვნებისა და თავგანწირულე-...ალეობის შესრულებისა.

**ი. წიკლაძე.**

—

...ნც ქალის ალერსით არა იყო ...რი, მას მზეც ვერ გაათბობს. ...ძლავრი მოქიშპეა მზისა, ამ ... ცხოვრებისა. უქალოთ ...ქვეყანა უღაბნო იქნებოდა. ...ცხოვრების მიზანია, იგი თვი-...სიცხლეა. ამიტომ იგი მარ-... თუ თავის გულისათვის ავი-... კაცს მთელ ქვეყანას და ...არ ამლევს კაცს ქვეყნისათვის ... იგი.—ამასთანავე ქალი ...თავმომწონია, მუდამ მზადაა ...მაღლა დადგეს და ყოველ-

ლონისძიებას იხმარდა, რომ შეეძ-ლოს მზის დაჩრდილვა.

**ა. ყარაშვილი**

—

2) სამშობლო და მისი ბუნება საყვარელი და ამიტომ სასურველი და სახალისო ასპარეზია ადამიანის მოქმედებისათვის. სამშობლო ენაც საყვარელი და ამიტომ უფრო სახალისო და ადვილი საშუალებაა უმაღლეს იდეალის მისაღწევად. ქართველ ქალს, როგორც საზოგადოდ ყველა ადამიანს, აამაღლებს მხოლოდ კაცობრიულ იდეალის შეგნება. რაც უფრო ღრმად იქნება ეს კაცობრიული იდეალი განვითარებული, მით უფრო ნაყოფიერი და ვრცელ აზრიანი შეიქნება ეროვნული შემოქმედებაც. ქალმა დღევანდელ გარემოებაში უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება თანასწორობის ნიადაგზე ბავშვების აღზრდას და ოჯახურ და ოჯახთა შორის კავშირის შექმნას. ამ გზით განვითარება შესძენს მას ზნეობრივ სიმტკიცეს, რომელიც ერთად-ერთი წყარო ადამიანის თავისუფლებისა.

**ნინო ნაკაშიძე.**

—

1) ქალის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში, რასაკვირველია, დიდია, მაგრამ უფრო მეტი იქნებოდა სრულ უფლებიან ადამიანად რომ ყოფილიყო იგი ცნობილი.

2) ქართველი ქალის ხელშია ქართველ ერის უმთავრესი ციხე-სიმაგრე—ოჯახი. რადგანაც იგი ოჯახში დამაბუნებულია ამ ჟამად, მრავალნაირი გავლენა ცდილობს იქ გაბატონებას, ამიტომაც ჩვენი ქალები მოვალენი არიან დაიცვან იგი ყოველგვარ შემოსევისაგან და ისე გაუფრთხილდნენ, როგორც თავის ლამაზ თვალის ჩინს; მოვალენი არიან განაახლონ ძველი, შეჰქმნან ახალი ოჯახი; მხოლოდ იგი მოგვცემს ქართულ ნიადაგზე აღზრდილ-განვითარებულს ქართველს, რომლის სიტყვაც საქმე იქნება და არ ეგვანება ეხლანდელს მითომ მოსაქმეს, რომლის საქმეც მხოლოდ უშედეგო ლაპარაკია.

ქართველი ქალი ცხოვრების ყოველ დარგშიც თავდაპირველად უნდა იყოს ქართველი.

**დ. ნახუცრიშვილი.**

—

ქალი მუდამ იყო საფუძველი და ღედა-ბოძი ოჯახისა, იმას შეჰქონდა ადამიანის ცხოვრებაში სიყვარული, სინაზე, სიწრფელე. ძველს დროშიაც ქალმა ნელნელა, თანდათანობით მოიპოვა თავისუფლება, თავი დააღწია კარ-ჩაკეტილობას და აი მაშინ უფრო ძალუმი იყო მისი გავლენა ცხოვრებაზე. სადაც ქალი ასეთი იყო, იქ მამულს ეზრდებოდნენ ღირსეულნი შვილნი, გმირნი მამულისა. ქალმა მეტი გავლენა მოიპოვა ქრისტიანობის ხანიდან, ვხედავთ თავდადებულს მქადაგებლებს, მეფეებს. მწერლობაზე, ხელოვნებაზე, საზოგადოდ, კაცის გონების სხვადასხვა ნაწარმოებზე ქალს თვალსაჩინო გავლენა ჰქონდა: იქნება რუსთაველს „ვეფხის ტყაოსანი“ ისეთის აღფრთოვანებით არ დაეწერა, ისეთის მარგალიტებით არ მოეჩუქურთმებინა თავისი ნაწარმოები, რომ თამარ მეფე არ ყოფილიყო; იქნება ლეონარდო-და-ვინჩის ისეთის სინამდვილით, სიცხოვლით არ აღებეჭდა ტილოზე ჯიოკონდას ცოლის ლიზას სურათი, რომლის ჯერ მოპარვამ და მერე პოვნამ მთელი კაცობრიობა აალაპარაკა ამ დღეებში, რომ მას, ლეონარდოს, არ შეხვედრიყო ლამაზი ლიზა. იქნება ჩვენს ქვეყანას ვერ მოეტანა სული მეცხრამეტე საუკუნემდე, რომ ქალს არ ებაასნა მისთვის ანგარიში. ქალმა აქცია ჩვენი სამშობლო „გმირთა აკლდამად“.

2) დღეს ჩვენ ოჯახი არა გვაქვს, ოჯახი დაიქცა. მას სჭირია აღდგენა და დღევანდელმა ქალმა უნდა აღადგინოს იგი. ოჯახში აღარ ისმის ტკბილი ქართული. ქალმა უნდა დაილაპარაკოს ოჯახში ქართულად, აკვნიდანვე ჩააწვეთოს შვილს თვისი ღვიძლი ენის სიყვარული, სიყვარული სამშობლოსი, წინაპართა სისხლით მორწყულისა, უნდა ასწავლოს თავდადება თვისის ერის და სამშობლოსათვის. რას უნდა ელტვოდეს ქართველი ქალი, ქართველი დედა —ამისი იდეალი უკვე მოგვცა დიდმა ილიამ: „ისე აღზარდე შენ შვილის სული,—ეუბნება ქართველს დედას, —რომ წინა გქონდეს ჭეშმარიტება და უკან კვალი განათლებული“. სანამ ამ გზას არ დაადგება ჩვენი ქალი, ჩვენი საქმე წაღმა ვერ იზამს პირსა.

**ს. მგალობლიშვილი.**

# ქართველ ქალებს

ქართველო ქალო! **14 იანვარი** შენი დიდობისა და თვითცნობიერობის დღეობაა... ამ დღეს უნდა მოიგონო იგი, ვისი ხსენებაც მთელი თექვსმეტი საუკუნე შუქურ-ვარსკვლავად მიუძღოდა შენს მშობელ ერს...

ქართველო ქალო! მოიგონე, რომ ტაძარი შენის მასახელებელისა დღეს შებილწულია, ვერანად ქმნილი, ერი დაქსაქსული, გაორჭოფებული, გაქსუებული, წინაპირთ ანდერძთან მოწყვეტილი, ახალთან არ შეგუებული...

ქართველო ქალო! ნუ თუ იმდენ თვითმოქმედებას ველარ გამოიჩენ, სულიერად ისე ველარ ოლფრთოვანდები, რომ ერს სულიერი განახლება მოჰფინო, ახალ გზაზე გამოიყვანო?!...

ნინოობა—ეს შენი თვითძლიერების დღეობაა და ნუ თუ იქამდე მაინც ვერ ამაღლდები, რომ ეს დღე შენი ჭეშმარიტი დიდების გვირგვინად აქციო?!

ქართველი ერი ელის განახლებულ ნინოს, ქართველი ოჯახი—ჭეშმარიტ დედას...

შენს ამაღლება-გათვითცნობიერებასთან ერთად უნდა გათვითცნობიერდეს და ამაღლდეს ქართველი ერი, ქართველთა მოქალაქობრივი ცხოვრება...

**იოსებ არიმათიელი.**

# დღევანდელი სურათები

1) † ბარბარე ავალიშვილისა. მსახიობი ქალი.

2) ბაბილინა. პოეტი.

3) ეკატერინე გაბაშვილისა. მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

4) † ნატალია გაბუნია-ცაგარლისა. მსახიობი.

5) განდეგილი. პოეტი, ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე.

6) გარიყული. მწერალი.

7) † მარიამ დემურიასი. საზოგადო მოღვაწე, საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი.

8) ეკატერინე მესხისა. საზოგადო მოღვაწე.

9) ეფემია მესხი. მსახიობი.

10) ნინო ნაკაშიძისა. მწერალი, ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქტორი.

11) ნინო ორბელიანისა. პოეტი.

12) მარიამ საფაროვი-აბაშიძისა. მსახიობი.

13) ელისაბედ ჩერქეზიშვილი. მსახიობი.

14) ნინო ჩხეიძე. მსახიობი.

15) ნინო ყიფიანისა. საზოგადო მოღვაწე.

16) ანასტასია წერეთლისა. მწერალი, საზოგადო მოღვაწე, რედაქტორ-გამომცემელი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“.

17) ანასტასია ხოშტარიასი. მწერალი.

18) მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა. საზოგადო მოღვაწე.

19) ბარბალე ჯორჯაძისა. მწერალი.

20) ოლღა ქავჭავაძისა. საზოგადო მოღვაწე.

რედაქცია შეეცადა, რომ ყველა ქართველ მოღვაწე ქალის სურათი დაებეჭდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სურათები დროზე ვერ მივიღეთ და ამიტომ ზოგიერთი სურათი ახლა ვერ იბეჭდება, მაგალითად, აზიანისა და სხვ.

# ფიკუსები

**ქართველი ქალების სახელები**

| ძველად: | ეხლა: |
|---|---|
| საყვარელა | ლუბა |
| ვარდო | როზა |
| სალომე | სალომკა |
| ქეთევანი | კეტუსია, კეტუშკა |
| ნინო | ნინუსია, ნინოჩკა, ნინკა |
| თამარ | ტამრუშკა, ტამოჩკა. |
| ნათელა | სვეტლიაჩკა |
| თეკლე | ტიკუშკა |
| იმედი | ნადია |
| ბაბო | ვარია, ვარიჩკა |
| მარო | მაშურკა. |

# ქუთაისის ამ-ბარბი

ძნელი გასაგებია, რა ხდება წმ. ნინოს სასწავლებელში. უთუოდ არავის არ დავიწყებია ის აურზაური, რომელიც გამოიწვია 2 წლის წინად ამ სასწავლებლის უფროსის უხიაკმა მოქმედებამ, მოსწავლეთა აღელვებამ, რომელმაც კინაღამ სასწავლებლის დახურვა არ გამოიწვია.

დამნაშავენი, რასაკვირველია, მოსწავლენი აღმოჩნდნენ. გაიარა რამოდენიმე ხანმა; სასწავლებელში მომხდარმა ამბებმა იმდენად იმოქმედეს მის ინსპექტორზე, რომ მან თავი ჩამოიხრჩო. მის მაგივრად დანიშნეს ვინმე რაჟდესტვენსკი, რომლის მოქმედებით, მართალი უნდა სთქვას კაცმა, არც მოსწავლენი და არც საზოგადოება, უკმაყოფილონი არ იყვნენ.

ერთ მშვენიერ დღეს, აკადემიური წლის განმავლობაში რაჟდესტვენსკი სხვაგან გადაიყვანეს და მის მაგივრად დროებით ინსპექტორად დანიშნეს ბ-ნი ს. ი. ოცხელი, რომელიც ამავე სასწავლებელში მასწავლებლობდა.

დამთავრდა აკადემიური წლიწადი. ყველას ეგონა, ან ბ-ნ ოცხელს დაამტკიცებდნენ ამ თანამდებობაზე ან სხვას დანიშნავდნენ 1913 სამოსწავლო წლის დაწყებამდე.

ხმა არავინ გაიღო და ბ-ნი ოცხელი კვლავ განაგრძობდა სასწავლებლის მმართველობას. წელს, 2 იანვარს, მოვიდა ცნობა, ბ-ნი ოცხელი უნდა გადადგეს თანამდებობიდან და მის მაგივრად ბაქოდან ვინმე დანილოვი გადმოჰყავთო.

ამ ნაირად ორი წლის განმავლობაში სასწავლებელს გამოუცვალეს 4 ინსპექტორი; ამავე ხნის განმავლობაში მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი აქეთ-იქით დაქსაქსეს, მხოლოდ ერთად-ერთი სასწავლებლის უფროსი, მასწავლებელი ქ-ნი ჩარკვიანისა და ბ-ნი ბიბიკოვი, მზრუნველი კომიტეტის წევრი-მდივანი, თავ-თავის ადგილას არიან.

ასეთი პოლიტიკა მასწავლებლებისა და გამგეობის ხშირი ცვლისა და დაქსაქსვისა, ეჭვი არ არის, დაწესებულებას ვნების მეტს ვერაფერს მოუტანს. მართლაც, საზოგადოებაში ოდესღაც ნდომით აღჭურვილმა სასწავლებელმა ყოველი ფასი დაკარგა.

**ელ. ს. კ.**

# წერილი ქართლიდან

ამას წინად შემხვდა ტფილისის გუბერნიის, სამინისტრო სკოლების მესამე რაიონის ინსპექტორი ბ. პოლიტოვი, რომელსაც მოევლო გორის და დუშეთის სკოლები. მცხეთაში უნახავს შეუსაბამო რამ: ამ სოფლის სკოლაში გაუწესებიათ პეტერბურგელი რუსი ქალი მასწავლებლად. პედაგოგიაზე სწორ შეხედულების მქონე ბ. ინსპექტორს ქ-ნ მასწავლებლისთვის ასეთი შეუსაბამობა არ დაუმალია და უბძანებია შესაფერი ადგილის მოძებნა.

გვიკვირს, მცხეთის საზოგადოება რატომ არ მიხვდა ასეთ უგვანობას და რაზე დატანჯა მთელი წელიწადნახევარი თავისი ბავშვები ტყუილუბრალოდ. ბავშვებს არამც თუ არაფერი შეუსწავლიათ მესამე განყოფილებაში ქ-ნ მასლოვის ხელმძღვანელობით, არამედ ისიც დაჰვიწყებიათ, რაც წინა განყოფილებებში შეესწავლათ.

სოფელ კასპს აქვს სამინისტრო სკოლა, მაგრამ უკეთესის მოპოვება მოუსურვიათ. ბ. პოლიტოვიც სიამოვნებით მიჰგებებია მათს განძრახვას სამინისტრო სკოლასთან სამეურნეო განყოფილების დაარსებას. უმსჯელიათ ამის შესახებ და გზაც გამოუნახავთ. ამ სოფელში მდებარეობს თ-დ ამილახვრის მამული და სახლკარი. ეს სახლ-კარი მთაზე მდებარეობს, ვენახების თავზე. სათავადაზნაურო ბანკში ყოფილა დაგირავებული. აი აქეთ მიდიოდა ბ. პოლიტოვი, ამბის გასაგებად. მას ჰსურს და იმედიცა აქვს გამოუტანოს ამ სოფელს ნახევარი ხარჯი თავის უფყებიდან ამ მამულის შესაძენად და სამეურნეო განყოფილებისთვის, რაზედაც კასპელები დასთანხმებიან და მადლობა გადაუხდიათ.

საჭიროა ჩვენმა სათავად-აზნაურო ბანკმა ყურადღება მიაქციოს ასეთ სიმპატიურ სურვილს და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამ მამულის შეძენაში.

**მგზავრი ლ.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს საღამოს ქართულ თეატრის დარბაზში ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოება ჰმართავს სგულისხმო სამხატვრო-სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს.

**ივ. ფალიაშვილის იუბილე.** ხვალ 15 იანვარს სახაზინო თეატრში გაიმართება 25 წლის საიუბილეო დღესასწაული დირიჟორის ივ. ფალიაშვილის პატივსაცემლად.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**12—13 იანვარი.**

**უცხოეთი.**

**პარიზი.** ვენიზელოსი მოვიდა. იგი ბერლინს 12 იანვარს გაემგზავრება.

**ტანჟერი.** საფრანგეთის საპარლამენტო კორპუსის აგენტი შევალიე დღევალდროში რევოლვერით მოჰკლა თვისმა მზარეულმა. მკვლელი დააპატიმრეს.

**ლონდონი.** მენახშირეთა გაფიცვის გამო ნახშირის ფასმა იმატა. ხმა გავრცელდა, დიდმა ფირმამ მიიღო გაფიცულთა მოთხოვნილებანიო. იმედი არის, სხვა ფირმებიც ასეთს მაგალითს მიჰბაძავენ.

**ათინა.** ლეპანტოში მიწა ძლიერად იძრა. რამდენიმე შენობა დაიქცა.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით, ვენეზილოსი ბერლინიდან პეტერბურგს წავა, შემდეგ ვინით ბუქარესტსა და ბელგრადისკენ გაივლის და ათინაში დაბრუნდება.

თუმცა ალბანეთიდან მოსულ ცნობებს კვლავ არა მშვიდობიანი ხასიათი აქვს, მაგრამ მდგომარეობა სახიფათოდ არ ჩაითვლება.

**კოპენჰაგენი.** ქალებს მამაკაცებთან სახელმწიფო სამსახურში შესვლის ერთნაირი უფლება ენიჭებათ, ამასთანავე ქორწინება ამ უფლებით სარგებლობას ხელს არ შეუშლის.

**ლონდონი.** ასტრონომი გელი გარდაიცვალა.

**გლაზგო.** საბოტანიკო ბაღში აფეთქდა ყუმბარა, იქვე იპოვნეს მეორე ყუმბარაც. ჰფიქრობენ, ეს ყუმბარები, სუფრაჟისტ ქალებს ეკუთვნოდა.

**პრეტორია.** პრეტორიაში ყოველგვარი შეზღუდვა გაუქმებულია, მათ შორის ცენზურაც.

**ლონდონი.** სააღმაშენებლო სამრეწველოში ლოკაუტი გამოაცხადეს. 5.000 მუშამ მუშაობას თავი გაანება.

**ბუქარესტი.** პარლამენტი დაითხოვეს. ახალი არჩევნები თებერვალში მოხდება.

**ბუდაპეშტი.** ტისასა და დეზის უთანხმოება დასრულდა. სეკუნდანტთა ოქმიდან სჩანს, რომ ტისას არ ჰქონდა ფიქრად დეზისთვის შეურაცყოფა მიეყენებინა.

**ამიენი.** სოციალისტთა ეროვნული კონგრესი გაიხსნა.

**დურბანი.** რკინის გზის მოსამსახურენი ხვალ შეუდგებიან მუშაობას.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** თ.-აზნაურთა საკრებულოში ერობის დღესასწაულის გამო ნადიმი გაიმართა. ნადიმს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დიდი მთავრები, მინისტრები კოკოვცევის მეთაურობით, სათათბიროსა და საბჭოს წევრნი და სხვა. მეფემ სიტყვით მიჰმართა საერობო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, მადლობა გადაუხადა მოღვაწეობისათვის და მომავლისთვის უსურვა ნაყოფიერი მუშაობის წარმოება.

**პეტერბურგი.** განათლების მინისტრის განკარგულებით დაიწყო პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მოქმედების რევიზია.

**ნოვოჩერკასკი.** ჩრდილო კავკასიის პირველი სამელიორაციო კრება მინისტრის ნებართვით დაიწყება ნოვოჩერკასკში 19 იანვარს, დასრულდება 26 იანვარს.

# „ბანკეტზე“

(წერილი პეტერბურგიდან).

მთელ რიგ შემავიწროებელ ზომების მიუხედავად, ეროვნული კულტურის განვითარება სწარმოებს მე-19 საუკუნეშიც. მრავალ დადებითი ხასიათის შენაძენებს შორის სათანადო შესაძენად შეგვიძლია ჩავთვალოთ რუსულ კულტურის ქმნილება—**ეროვნული შუღლი**. ყოველგვარ ალტრუისტულ გრძნობას არის მოკლებული იგი ქმნილება, ამიტომ, ზნეობის თვალთახედვის წერტილიდან, იგი მოვლენა შეუწყნარებელია. მაგრამ ეროვნული შუღლი მწარმოებელ ძალთა დამკნინებელი და ეროვნულ სიმდიდრის განმანადგურებელიცაა—და ცხადია იგი მოვლენა უტილიტარულ თვალთახედვის წერტილიდანაც დასაგმობია.

სამწუხაროდ, ეს ანტისაზოგადოებრივი ატრიბუტი — დაბადებული მე-19 საუკუნის პირველ ხანებშივე, თანდათან იზრდება, იჩალხება და მწვავე ხასიათს ღებულობს. ის მესამე ძალა ჩვენი ცხოვრებისა, რომლის ხელში მოქცეულია სახელმწიფოებრივ ძალის სხვა და სხვა ფუნქციები, მთელ რიგ მოქმედებით იწვევდა სხვადასხვა ხასიათის შუღლს ჯერ მოდგმათა შორის, შემდეგ მეზობელ ეთნიურ მცირე ძალთა შორის და ბოლო დროს მსხვილ ერთა შორისაც. ამ პოლიტიკის ნაყოფი თანდათან თვალსაჩინო ხდება ყველასათვის. თათარ-სომეხთა შორის არსებული ანტაგონიზმი სწორი ილიუსტრაციაა ჩვენი ცხოვრების მესამე ძალის მოღვაწეობისა.

საბედნიეროდ, ამ მესამე ძალის შოვინისტურ მოღვაწეობას დიადი გასავალი მხოლოდ ერის უმეცარ წრეებში-ღა თუ აქვს. გაბატონებული წრეები ერისა ამ შუღლს აქსოვებენ თავიანთ კლასობრივ ინტერესებსაც და ამიტომ ეგ ნაწილები თავის თავადაც ხდებიან მონაწილენი ამ მოვლენისა. მაგრამ დემოკრატია დაუძინებელი მტერი ხდება ერთა შორის შუღლისა. ქართული დემოკრატიულ-სოციალისტურ პრესის პოზიცია ქართველ-სომეხთა შორის ატეხილ უკანასკნელს დავაში აშკარად ამტკიცებს ფაქტს, თუ რამდენად იცავს და მაღლა აყენებს იგი დემოკრატია იდეას ეროვნულს თანხმობისას, კეთილგანწყობილებისას.

საბედნიეროდ და სასიხარულოდ ესავე აზრი მკაფიოდ გამოიხატა და განვითარებულ იქმნა პეტერბურგში მომხდარ სახალხო მასწავლებელთა არა-რუსთა სექციის კრებებზე, სადაც ჩვენმა დეპუტატმა **ვ. გელოვანმა** ქართველების მხრივ, ხოლო სხვა პირებმა თათრისა, სომხისა, თურქებისა (კავკასიიდან) აგრეთვე ციმბირის, თურქესტანის, უკრაინის და სხვ. მხრივ ნათელ ჰყვეს ცხოველმყოფელობა მათ შორის ეროვნულის სოლიდარობისა. არსად ისე სხლარტად, ისე თბილად და მტკიცედ არ გამოკვანთულა იგი სოლიდარობა, როგორც ამ ნამდვილ დემოკრატებს შორის. „სახალხო გაზეთში“ იყო მოხსენებული ეს ფრიად სასიხარულო მოვლენა, და ჩვენც ბედნიერად ვსთვლით თავს, რომ საშუალება გვეძლევა კიდევ ახალი ფაქტით აღვნუსხოთ ტენდენცია ამ სოლიდარობისაკენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ერთა დემოკრატიულ ადეპტებს შორის არსებული.

კავკასიელ სახალხო მასწავლებელთა—უმთავრესად ქართველ, სომეხ და თათარ მასწავლებელთა თაოსნობით, არა-რუსთა სექციის მუშაობის დასასრულისა და ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ იქმნა „ბანკეტი“—ვახშამი. ქართველ-სომეხ-თათარ მასწავლებლების მიერ მოწვეულ იქმნა ბანკეტზე არა-რუსთა სექციის პრეზიდიუმი—გ. გ. ტუმიმის, სახელმწ. სათათბ. წევრის პეპელიაევის, დუზოსარსკის და სხ. სახით, აგრეთვე კავკასიელი დეპუტატები, დაესწრო ვარლამ გელოვანი, დეპუტატი ენიკეევი, პროფესორი ბოროზდინი, სტუდენტები და სხ.

ბანკეტი საღამოს 9 საათზე დაიწყო. დამსწრეთა სურვილით—რომელთაც რაოდენობა აღემატებოდა 50-ს—ბანკეტის ხელმძღვანელად არჩეულ იქმნა დეპუტატი **ვარლამ გელოვანი.** ბანკეტის თავმჯდომარედ ვ. გელოვანის არჩევამ გამოიწვია მისი (გელოვანის) მხრივ გრძნობით აღსავსე სიტყვა, რომელიც შეიქმნა იმ კანვად, რომელზედაც გამოიკრთო მთელი სულიერი ტენდენცია ინტერნაციონალური შეკრებულობისა. აქ კი მთელ თავის სიდიადით გამოიხატა ჩვენი და ჩვენ მეზობელ ერთა სულიერი ძალთა განწყობილებანი. ჭეშმარიტად, სახალხო მასწავლებელი ერის შემოქმედ ძალასთან უახლოესი ძალაა, იგი სოფლის კულტურის მესვეურია და ინსტიქტურად მატარებელი იმ ეროვნულ — სულიერ განწყობილებისა, რომელიც გამეფებულია მასწავლებლის სამოღვაწეო ერთეულში—სოფელში. ამიტომ ამათი აზრი ნამდვილად სოფლის აზრია, იგი მასსის, დემოკრატიის ნებისყოფათა ილუსტრაციაა, რამდენადაც სოფლის მასწავლებლობა სოციალ-ეკონომიურად ნამდვილი დემოკრატიული ელემენტია. და აი ამ ძალთა შეერთება საღამოზე, მათი აზრებისა და გრძნობათა გამომზეურება ჩვენ ახალ იმედებს გვიღვიძებს იმისას, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია სვავ-ყორანთა სიხარული, რომ მოძმე ერთა შორის გამწვავდეს და გაღრმავდეს შური, მტრობა და სიძულვილი.

და მართლაც, რა არის სამტრო, საშურიანო და საბრძოლველი მაგალ. ქართველსა და სომეხსა, ან თათარსა ქართველს, სომეხსა და სხ. ერთა შორის? მოკლებულნი ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ატრიბუტს, სოციალურად, ეკონომიურად და ნაციონალურად დაჩაგრულნი, იგი ერნი მოკლებულნი არიან უბრალო გრძნობასაც კი, რომ აქტიური მისწრაფებანი გაავითარონ. თავის დაცვა და ნაციონალურ ცხოვრების განვითარება—აი მთელი მათი მოღვაწეობის აზრი. მხოლოდ მესამე, გარეშე ელემენტი არის, აქ ეროვნულს წყალსა რომ ჰრევს და თავის მიზნების სარეალიზაციოდ ჰქმნის ასეთს ეროვნულ შეხლა-შემოხლის შესაძლეობას. ძლიერი, სწორი და სასიამოვნო იყო, რომ დეპუტატმა **ვ. გელოვანმა** მყისვე დაადგა ამ მოტივებს და ისტორიულ თვალთახედვის წერტილიდან გააშუქა, თუ რა რიგ ზომებით ანვითარებდა და აღვივებდა მესამე ძალა მე-XIX საუკუნის სივრცეზე ხსენებულ ეროვ-

ნულ ანტოგონიზმს სხვადასხვა ერთა შორის. სათანადო საისტორიო მასალების ილიუსტრაციით, ვ. გელოვანმა ცხარე და ძლიერს სიტყვაში დაანახა დამსწრეთ, თუ რა ზომებით უწევდა რუსები ქართველობას ფაბორიტობას, როდესაც საქართველოს ხელში ჩაგდებით რუსეთის სახელმწიფო ცდილობდა მთელს კავკასიაში გაბატონებას. ვარანცოვისა, ბარიატინსკისა და დიდი მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძის შემდეგ, როდესაც რუსების სახელმწიფოს პირველი განზრახვა განხორციელებული იქმნა კავკასიის სრულიად დაპყრობით, სახელმწიფოებრივი პოლიტიკაც იცვლება. 1881 წლიდან, ალექსანდრე მე-III გამეფებით იწყება ნელი, მაგრამ ქედუხრელი განვითარება ახალი ცნობილი კურსისა. აღმოსავლეთის პოლიტიკა!—აი მიმართულება და შინაარსი ამ დროის მთავრობის მიერ წარმოებულ პოლიტიკისა. მცირე აზია თუ სპარსეთი, მონგოლეთი თუ ჩინეთი...—აი ახალი საოცნებო საგნები. სხვადასხვა გარემოების მიხედვით აქ სხვადასხვა კუთხე და ერი შეიძლებოდა გამოსულიყო საბაბად და იარაღად ცნობილ პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში, მაგრამ არც ერთს შემთხვევაში ქართველობა საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. ამიტომ, ქართველობის ფაბორიტობასაც ელება ბოლო და სამაგიეროდ იწყება ფაბორიტობა თათრობისა და სომხობისა. პირველი სპარსეთისათვის, მეორე მცირე აზიისათვის. და აი, რამდენადაც ამ ტერიტორიალურ ერთეულების საქმეში დაინტერესებულია რუსეთის მთავრობა, იმდენადვე ამ ხსენებულ ერებსაც იარაღად იყენებს იგი მთავრობა და ფაბორიტობას უწევს ერის „მარილთ“. ჯერ ეს პოლიტიკა მხოლოდ **გავლენის** მოპოვებას ისახავს მიზნად, მაგრამ საბედისწერო და ხელსაყრელ მომენტში იგი გავლენა საშუალებად ხდება **ბატონობად** გარდაქცევისა. და მთავრობა ამ იდუმალს, ღრმად მოაზრებულს საქმეს ისე ასრულებს, რომ იგი შეუცნობელი დარჩეს როგორც თათრის ისე სომეხისათვისაც. ურთიერთში შურის გაღვივება, სიძულვარე, ომი, რომ საზოგადოებრივი აზროვნობა ყალბ ნიადაგზე იქმნას გადატანილი, ბურუსში გახვეული—აი ასეთ პირობებში ადვილად და მოხერხებით სრულდება ხოლმე ყოველვარი ნაციონალისტური და აგრესიული პოლიტიკა და სწორედ საამისოდ იქმნება ანალოგიური ექსცესები. ამნაირად, რუსეთის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა—კავკასიის ერების სადენაციონალიზაციო პოლიტიკაა, იგი უაღრესად აგრესიულ-იმპერიალისტური პოლიტიკაა. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს იგი პოლიტიკა, რომ სათანადოდ ვიმუშაოთ. ასეთს დროში მხოლოდ ერთი რამაა საჭირო, საჭიროა ჩვენს შორის არსებობდეს მტკიცე ერთსულოვნობა, ერთობა, ძმობა, თანასწორობა. ჩვენ მხოლოდ ეროვნული თავისუფლება გვინდა, ეროვნულ კულტურის, ეროვნულ ცხოვრების ეროვნულ ძალებით მოწყობა, მართველობა, სრული მესვეურობა. საერთო საქმეები საერთოდ უნდა გავაკეთოთ, კერძო—ეროვნული სარითაოდ—აი რა რიგად უნდა ვიმოღვაწეოთ ჩვენ.

ვ. გელოვანის ამ მეტად შინაარსიანმა და ფხიანად წარმოთქმულმა სიტყვამ დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს იგი. მთელი რიგი სიტყვებისა წარმოთქმულ იქმნა ვ. გელოვანის შემდეგ. თითქმის ყოველ ორატორის სიტყვაში გელოვანისებური აზრები იქმნა გატარებული, მხოლოდ კიდევ ხაზ-გასმით ისა, რომ ასეთს მდგომარეობაში საჭირო და აუცილებელია ყოველ ერს თვითონვე მძლავრად ჰქონდეს ძვალ-რბილში გამჯდარი ეროვნული ნება-ყოფის შემეცნება. ამ ხასიათის სიტყვებში აღსანიშნავია სიტყვა პროფესორის ბოროზდინისა, სახელმწ. სათათბ. წევრის—პეპელიაევისა, დუბოსარსკისა და სხ.

მაგრამ მესამე ძალის ყველაზე ხეპრე პოლიტიკა სასკოლო საქმეშია გატარებული. აქ მთავრობა თავის პოლიტიკას თვით ხალხის მასაში ავრცელებს და აღვივებს. დაბალი სკოლა კულტურის ის ლამპარია, რომელიც ყველაზე ახლოსა სდგას სოფლის მასასთან და რომელიც მხოლოდ-ღა ანათებს სოფლის ქოხს, და აი ამ ფაქტორს მთავრობა იარაღად იყენებს, რომ ჯერ კიდევ ყოველგვარ **აზრის** უვიცნორჩ ყმაწვილის გონებაში დაამკვიდროს ისეთი შეხედულებანი, რომელნიც ჰარმონიულ კავშირში იმყოფებიან სახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან. ამნაირად, ცხოვრებაში მასიის, [illegible] საზოგადოების საზრიან აღზრდას [illegible] აქვს ადგილი, არამედ წინასწარად შემზადებულ პოლიტიკის მოსამსახურე [illegible] ფაბრიკაცია და აი სწორ[illegible] მოხელეთა ფაბრიკაცია ხდება ის საშინელ ძალად ცხოვრებაში, რომელიც ჰყინავს ჩვენს საზოგადოებრიობას და რასაც ფაქტიურად ჰქმნის დღევანდელი დაბალი, სახალხო სკოლა. ამნაირად, სკოლა სასკოლო საქმეს კი არ აკეთებს, არამედ სახელმწიფოებრივს. ამ მხრივ შეეხო საგანს და ბანკეტზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა თანამემამულემ **გიორგი ჭუმბურიძემ**, რომელმაც მთავრობის ეგ პოლიტიკა ფართედ დაახასიათა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამ საკითხის მთელი ისტორია, თუ როგორ აწარმოებდა ანალოგიურ პოლიტიკას გაბატონებულ მთავრობის ძალნი არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში. მთელ რიგ კონკრეტიულ-ისტორიულ საბუთების მოყვანით ბ. გ. ჭუმბურიძე ახასიათებს ხსენებულ პირობებში ჩაყენებულ სკოლების ნაყოფიერობას, მის ანტიეროვნულსა და ანტიკულტურულ მისწრაფებას, საიდანაც ბ. ჭუმბურიძე ანვითარებს სახალხო, წმინდა ეროვნულ სკოლების შექმნის პრინციპს. სახალხო სკოლამ სახალხო მოღვაწენი უნდა მოგვცეს, კულტურულმა დაწესებულებამ კულტურა უნდა შექმნას—აი, სხლარტად დედა აზრი გ. ჭუმბურიძის სიტყვისა. ამნაირად, სკოლაში ჩვენი პოლიტიკა მხოლოდ კულტურულ-ეროვნულია, იგი წმინდა პედაგოგიური პოლიტიკაა, წინააღმდეგ სახელმწიფოებრივისა და არაციონალურის პოლიტიკისა.

**ბ. ელიავამ** კი სკოლა და ენა გამოიყვანა რაღაც **იარაღად** უმაღლეს კულტურულ მისწრაფებათა რეალიზაციის საქმეში. ამ შემთხვევაში ბ. ელიავას ტენდენციოზური სიტყვა მიექცა **ბ. დ. უზნაძის** მკაცრ კრიტიკას, რომლის კარგმა სიტყვამ ყველას დაანახა, რომ სკოლა და ენა, მართლია გონივრულ კულტურის შექმნის საუკეთესო და უდიადესი ფაქტორია, მაგრამ იგი არის არა მარტო ფაქტორი, იარაღი და სხ., არა, იგი განსაკუთრებული თვითარსებაცაა, რომლის მთლიანობასა და სიდიადეში იხატება ერის კულტურაც. ამნაირად, სკოლა და ენა თავისთავად წარმოადგენს ღირებულებას. ყოველგვარი იარაღი ცხოვრებაში სცვდება და ილევა, ისპობა, ენა რომ მხოლოდ იარაღს წარმოადგენდეს, მაშინ მის გამშვენიერებასაც ადგილი არ ექნებოდა, მაგრამ ენა დამოუკიდებელი და სრული არსებაა, რომელიც ვითარდება, მშვენიერდება, წინ მიდის ისე, როგორც ყოველგვარი სხვა მოვლენა ცხოვრებაში.

ამნაირად, გელოვანმა საერთოდ, ჭუმბურიძემ კერძოდ დამსწრე საზოგადოებას გადაუშალეს ეროვნული ცხოვრების და სკოლა-ენის მდგომარეობა-მიმართულებანი. ჩვენში ეს მიმართულება ცნობილია მით, რომ ანალოგიურს აზრებს ხშირად ვხვდებით „სახალხო გაზეთი“-ს ჯგუფის ხალხში, ხოლო ამ ბანკეტზე ამ მიმართულებამ უაღრეს კაცთმოყვარეობითი სამოსელში გახვეულმა, სად საპოლიტიკო და საპედაგოგიო ფორმებში ჩამოსხმულმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

ბანკეტი $1^1/_2$ საათზე დასრულდა. ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა საზოგადოება. ეროვნული ჰანგებით გაჟღენთილი ხალხი ხვალ რუსეთის სხვა და სხვა კუთხეს მიაშურებენ, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ერის თვითცნობიერების სალაროში.

**აქაური.**

## სოფელს შველა უნდა!...

(სოფლის გულშემატკივართ)

ბნელი ძალები, ქურდები, ავაზაკები სინათლეს ვერ ეგუებიან და თავისუფლად მხოლოდ მაშინ გრძნობენ თავს, როცა ბნელეთი თვის სუდარას გადააფარებს ხოლმე ქვეყანას. ასეა ეხლაც. როცა სოფელს დუხჭირ რეაქციის შავი ბურუსი გადაჰკვრია, ეხლა გამომძვრალან სოროებიდან ბნელი ძალები და გამარჯვების დაფ-დაფსა სცემენ. ვგონებ განმათავისუფლებელ მოძრაობამდეც არ იყო ასეთი ვაკხანალია სოფლად. შავი ჭირივით მოედო გაძვალტყავებულ გლეხკაცობას ათასი ქვემძრომი-ჩარჩი, [illegible]არი, მკითხავი, ექიმბაში, შემლოცველი და ამ ბოლო დროს კი... ეგრედ წოდებულ მუცლის წამხდენელთა ფრიად საგრძნობი ლაშქარი. ეს ქალბატონები წინადაც იყვნენ, სოფლის სიბნელის თანდაყოლილი დანი არიან, მაგრამ მათი „მოღვაწეობა“ მაინც ისეთი თვალსაჩინო არას დროს არა ყოფილა, როგორც დღეს. კალიასავით მოედვნენ სოფლებს ეს ხალხის „კეთილის მყოფნი“ და თვისი დამღუპველი ქსელი სქლად გააბეს ყველგან, ყოველს კუთხეში, ყოველს ოჯახში, სადაც კი ხელი მიუწვდათ. არწმუნებენ გულუბრყვილო, ახალგაზრდა დედაკაცებს, რომ ერთი-ორი შვილის მეტი საჭირო არ არის, რომ ცხოვრება გართულდა და მომავალში უფრო მკაცრ მოთხოვნილებებს წამოუყენებს მათ... აძლევენ წამლებს და ან სამუდამოდ ასნეულებენ, ან და სამუდამოდ ასალმებენ წუთისოფელს და უქცევენ გლეხკაცს ისედაც დაქცეულ კერას... ამის მაგალითები ყოველ დღე ხდება, ყოველს სოფელში და არა ერთი და ორი... ეხლახანს სოფ. არბოს მედავითნე ცრემლით დალბობილ წერილს მწერდა—ერთმა დედაკაცმა შემიცდინა ერთი წლის ჯვარდაწერილი მეუღლე, მისცა მუცლის წამხდენი რაღაც წამალი და ხუთ დეკემბერს ხელიდან სამუდამოდ გამომაცალა ჯან-ღონით სავსე მეგობარი, დამიქცია ოჯახი, ჩამიქრო კერაო. მეორე სამწუხარო ამბავი ამ დღეებში მომივიდა ერთი სოფლიდან. ერთ გლეხის დედა-კაცისთვის რაღაც ბალახის წამალი მიუციათ—უბედურს, შვილი თავის დღეში აღარ გაუჩენია და... თავით ფეხამდე დასიებულა, უკანასკნელ დღეშია თურმე... სავალალო უფრო ის არის, რომ ქირს კირი დაერთვის ხოლმე. ქმარს, თუმცა მშვენივრადა სცოდნია მიზეზი ცოლის ავადმყოფობისა, მაგრამ მაინც მკითხავთან გაქცეულა. იმასაც უთქვამს ეგრის მიზეზია, ღამის თევასა გთხოვსო...

მაგრამ რამდენ აქისთანა სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი სოფლად? ვინ ჩაიხედულა? ვინ უწყის? სოფლის ინტელიგენტები, ხმას არ იღებენ, სოფელი ტრაგედიას განიცდის, ტრაგედიას ფიზიკურს, ტრაგედიას სულიერს მთელი თავისი საზარლობა—საშინელებით და მას შველა უნდა, შველა!..

შავი ჭირი რომ გაჩნდება ხოლმე, მკაცრ ზომებს იღებენ მის გასანელებლად; კალია რომ დაეცემა მინდორს, სცდილობენ თავიდანვე გამუსრონ, რომ არ მოსპოს ნათესი და ხელცარიელი არ დასვას მთესველი... უფრო საშინელია ეს ახალ მოდის კალია, რომელიც დღეს სოფელს მისდებია... ხალხს დაავადმყოფებენ, გადააგვარებენ, გაადატაკებენ... სოფელს შველა უნდა, ვიდრე დრო კიდევ ჩვენს ხელთ არის!...

საჭიროა სოფლის ინტელიგენციამ მედგარი ბრძოლა გამოუცხადოს ამ სენს, საჭიროა მღვდლებმა ჩააგონონ ხალხს მუცლის წახდენის მავნებლობა, საჭიროა მასწავლებლებმა ამცნონ ყოველი ამგვარი შემთხვევა, სადაც ჯერ არს და ჩააგონონ სოფლელებს, რომ მუცლის წახდენით მეტი ზარალი მოსდის ოჯახს, ვიდრე ერთი-ორი „ზედმეტი“ პირის შენახვით, საჭიროა სასტიკი ზომები მიიღონ ასეთ ექიმბაშების წინაღმდეგ..

**ხანგანიძე.**

## უცხოეთი

**საფრანგეთი**

ფინანსთა მინისტრი კაიო დეპუტატთა პალატაში კანონ-პროექტის შეტანას ჰფიქრობს, რომელიც რადიკალურად შესცვლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის სისრულეში მოყვანის სისტემას. ამ ჟამად საფრანგეთის ბიუჯეტის განსავითარებელ თვისებად გადაიქცა მუდმივი გადამეტებული ხარჯები, რომელსაც დახარჯვის შემდეგ ამტკიცებენ ხოლმე. კაიოს კანონ-პროექტით სახელმწიფო კანტროლი არსებითად შეიცვლება. ამ კანონ-პროექტით აღდგენილი იქნება დიდი რევოლიუციის დროს დაწესებული განსაკუთრებული საკანტროლო პალატა, რომელთა წევრები თითო-თითო გაწესებული იქნება ყოველ სამინისტროსთან და გამუდმებით ადევნებს თვალ-ყურს ხარჯთ-აღრიცხვის შესრულებას.

**ალბანეთი**

პრინც ვიდს ლეიპ-მედიკს ექიმ ბერხაუზენს მოაქვს პრინცთან ესსად-ფაშის წერილი, რომელშიაც უკანასკნელი აცხადებს, რომ როგორც ალბანეთის პატრიოტი, იგი ყველაფერს ჩაიდენს პრინცის დამტკიცების გულისათვის. ესსად-ფაშა იტოვებს ტახტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ პრინცი უარს იტყვის ტახტზე, ან გარდაიცვლება.

იტალიის გაზეთების სიტყვით, ყველა სახელმწიფო თანახმაა ქონებრივ-დახმარება გაუწიოს პრინც ვიდს და იმედი უნდა იქონიოს, რომ მალე განაღდება 75 მილიონიანი სესხი.

რაც შეეხება საბერძნეთის ჯარის განდევნას ალბანეთიდან, ამის შესახებ უნდა ელოდონ სახელმწიფოების ცალკე განკარგულებას, რადგან საბერძნეთს აქამდის არ მიუღია ოფიციალური ცნობა, თუ სად გაივლის საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარი საერთაშორისო კომისიის გამორკვევის შემდეგ.

— ტრენოში მყოფი ყველა ნაღმოსანი იტალიისა სრულ სამხედრო სამზადისშია მოყვანილი ალბანეთთან საქმის გართულების მოლოდინში.

— ალბანეთის საერთაშორისო საკანტროლო კომისია ქვეყნის მართვა-გამგეობას შეუდგა.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**




## ექიმ ნავახარდიანის

### პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე.

გზრდა კვირისა.

**დილით:**

## „606“ და „914“

**11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ტუხანოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ზ. ა. ზაზანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბიჭშვებისა.

**ბ. გ. ბენ. ამინოვი:** 10—12 ს. ყურისა, ჩელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ლ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის

1004 დოქტორი ბ. ა. ნავახარდიანი.

## სამშობიარო თავშესაფარი ო. უხარულისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიართა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**უფლებიანი სავაჭრო სკოლა და**

## საბუღალტერო კურსები

**ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა**

სკოლაში მიღება დაიწყება 8 იანვრიდან დილის 8 ნახ.—2 საათამდე. 15 იანვრიდან კურსების მეცადინეობა 1-ლ ჯგუფთან იწარმოებს 2 ნახ.—5 საათამდე. მე-2 ჯგუფთან საღამოს 7 ნახ.—10 საათ. იქვე იყიდება სახელმძღვანელონი **ბუღალტერიის შესწავლა** შეიძლება აგრეთვე მიწერ-მოწერითაც. მიხეილის ქ. სახლი № 17. 905.

## ანასტას ერისთავ-ხოშტარია

1) „**მოლიპულ გზაზე**“, რომანი . . . 1 მ. 50

2) „**ბედის ტრიალი**“, რომანი . . . (

„**ლაზარეს გადააჭარბა**“, მოთხრობა . ( 60

3) „**კამისია**“, სურათები სოფლის ცხოვრებიდან 15

წიგნების გამოწერა შეიძლება ამ მისამართით:

**г. Гори. Анастасіи Георгіевнѣ Хоштарія.**

გასაგზავნ ხარჯის გადაუხდელად. ვინც სამსავე წიგნს ერთად გამო[illegible] მანეთად გაეგზავნება და ვინც გამოიწერს ათ წიგნზე არა ნა[illegible] დაეთმობა „მოლიპულ გზაზე“ 30 პროცენტი, დანარჩენებზე 20 პრ[illegible]

ამ მისამართვითვე შეიძლება გამოწერა

## დუტუ მეგრელის ნაწერებისა.

1) ლექსები, 70 კ., 2) მოთხრობები, 70 კ. ორივე წიგნის გამომწერ[illegible] გზავნება 1 მ. 20 კაპ.-დ, ათი წიგნის გამომწერს დაეთმობა 30%.

## „ჯეჯილი“

### საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**ოცდა-მეხუთე წელიწადი.**

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.**

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა

**პატარებისათვის და მოზრდილთათვის.**

ჟურნალი „**ჯეჯილი**“ ტფილისში ღირს 4 მ., ქალაქ გარედ (გზ[illegible] 5 ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ. ხელის მოწერა მიიღე[illegible] ლისში „**ჯეჯილის**“ რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5), ქუთ[illegible] ისიდორე კვიცარიძესთან, **ჭიათურაში**—მასწ. ნიკ. წუწუნავასთან [illegible] ტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილთან.

**რედაქციაში იყიდება ცალკე წლების ჯეჯილები.**

**1914 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ დასურათებული**

## „კუნწულა“.

ფოსტის ადრესი: **Въ тифлисъ, въ Ред. груз. дѣтскаго журн. „Джеджили“**

1003 რედაქტ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთელი**

**ბ-ნთ აბულაძისა და კაკაბაძის** რედაქტორობით განზრახულ[illegible]

## „ვეფხის ტყაოსანი“

**ხელის მომწერთა საყურადღებოდ.**

იუსტინე აბულაძე და სარგის კაკაბაძე ამით აცხადებენ, რომ მათ ხელის მომწერთა უკეთ დასაკმაყოფილებლად საუმჯობესოდ და[illegible] თავისი გამოცემის გაერთიანება. **ბ-ნთ აბულაძისა და კაკაბაძის** [illegible] **მომწერნი მიიღებენ „ვეფხის ტყაოსანს“ ორთავე პირთა საერთო** [illegible] ცემას, რომელიც შეიცავს: 1) გამოკვლევას ს. კაკაბაძისა, 2) გამო[illegible] ვას ი. აბულაძისას, 3) ტექსტს, შემუშავებულ ს. კაკაბაძის მიერ [illegible] ვრცელს ლექსიკონს ი. აბულაძისას. წიგნს ექნება სურათები მე-17 [illegible] კუნ. მინიატურებიდან. ბ-ნ აბულაძის წიგნის მანეთიანი ხელის მო[illegible] ლები მიიღებენ ამავე გამოცემას უსურათებოდ.

წიგნი გამოვა იანვრის დამლევს და მაშინვე დაურიგდება ხელის [illegible] წერლებს.

ბ-ნ **აბულაძის** ადრესი: **Тифлисъ. Авлабаръ. Кабгеровская 29.**

ბ-ნ **კაკაბაძის** ადრესი: **Тифлисъ. Высшіе женскіе Курсы.**

## საუკეთესო შოკოლადები

მოსადღესასწაულოდ და ბევრნაირი კანფეტეულობა შეიძლება მიიღ[illegible]

## მ. ნაზარბეგოვის

**საწყობში** სასახლის ქუჩაზე. იქვე შეიძლება მიიღოთ **ხაყუთი** და ღვინოები ბავშვებისთვის და დიდრონებისთვის. იქვე იყიდება [illegible] ღირსების კარაქი 60 კ. გირ.

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფ[illegible]**

## საკომერციო ცოდნათა კურსები

## ტ. მ. ფილოიანისა

(ტფილისი. მიხეილის პროსპექტი, სახლი N 24—4, ტელეფ. 976).

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის [illegible] რსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitma[illegible] სასწავლებელში (ლონდონში და Pigi-ის (პარიზში), Muster Comto[illegible] ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰჰალტერია (უბრალო, იტალიუ[illegible] გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-ქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონო[illegible] 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომ[illegible] ციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრა[illegible] სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო 1) უც[illegible] **ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და [illegible] 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

ლექტორებად კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა-მიღებულნი. გავხსენით [illegible] ციალური ქალთა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვ[illegible] მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით [illegible] 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემ[illegible] მიეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწყობილ[illegible] ცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 [illegible] ნელი იყო. ამათგან 53 ქალი. რადგანაც მსურველი ბევრია, კურსებთან გავხსენით [illegible] რე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია [illegible] გარედ მცხოვრებთათვის. 18[illegible]

## მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

## ძმ. მეგრელოვები.

ახალ-ახალი მტკვრის თართი, [illegible] ხი, ლოქო, და სუ[illegible]

**აგრეთვე იყიდება მაილო[illegible]**

## ხიზილალა

**კოლოფით შიტკა და ხმელ[illegible] კო.** აგრეთვე ყოველ დროს [illegible] **მაღაზიაში მარტის დოლში, შიპა, ზურგიელები** და სხვა [illegible] ნაირი **თევზეულობა** [illegible]

## კონსერვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

**ტელეფონი № 712.**

— **გამოსულია და იყიდება** —

**წიგნი** **ნ. შიუკაშვილის**

## „მეგობრობა“,

დრამა 4 მოქმედებ[illegible] ფასი 30 კაპ.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.